7152

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
6 აგვისტო
1940 წ.
№ 180 (5881)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს მოკავშირე ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკას!

გუშინ, 3 აგვისტოს, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად დაამტკიცა კანონი ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მიღების შესახებ. ამ ისტორიული აქტით დაკმაყოფილებულია ლიტვის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის სანუკვარი ოცნება. მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება თავის ლიტველ ძმებს, რომლებიც, ბოლოს მშობლიურ საბჭოთა ოჯახში ჰპოვებენ მშვიდობას, მყუდროებას, ექსპლოატატორთა და პარაზიტთაგან განთავისუფლებულ თავიანთ მიწა-წყალზე ახალი, ბედნიერი ცხოვრების შექმნის შესაძლებლობას.

ძმურმა გრძნობებმა, რომლებითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი ქვეყანა ლიტვის მშრომელი ხალხისადმი, მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს უმაღლესი საბჭოს გუშინდელ სხდომაზე.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ამხანაგო ლიტველებო! ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული საზღვრები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჰყოფდნენ ხალხებს, წაშლილია. საბჭოთა კავშირი იძენს თითქმის 3 მილიონ ახალ საბჭოთა მოქალაქეს. ლიტველი ხალხი იძენს სამშობლოს 193-მილიონიანი მოსახლეობით.

სამუდამოდ დასტოვეს ლიტვა წარსულის შავბნელმა აჩრდილებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან, საიდანაც წარმოთქმული სიტყვა მთელ მსოფლიოს ეფინება, მოთხრობილ იქნა სრული სიმართლე იმ პატარა ბურჟუაზიული ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების შესახებ, რომელიც მემამულეებმა და კაპიტალისტებმა საშინელ საპყრობილედ გადააქციეს. ლიტვის სს რესპუბლიკის დელეგაციის წევრებმა გადაგვიშალეს იმ სისტემატური ძარცვის სურათი, რომელსაც გლეხები განიცდიდნენ, გამოააშკარავეს გლეხების უმიწაწყლოდ დატოვების პოლიტიკა, მათ გვიამბეს იმ წამებაზე, რომელსაც განიცდიდნენ ლიტვის მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე გამოვიდა მუშა ამხ. ზიბერტასი, რომელმაც 20 წელი დაჰყო საპყრობილეში... 20 წელი!—თითქმის იმდენივე, რამდენსაც არსებობდა გამყიდველი ბურჟუაზიის მთლიანად დამპალი, გახრწნილი ხელისუფლება. 20 წლის განმავლობაში ლიტველი ხალხის მტკიცე შვილს ამხ. ზიბერტასს ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ დაჰკრავდა ლიტვის განთავისუფლების ჟამი და ლიტვა საბჭოთა ოჯახში შევიდოდა. ასეთი იყო ყველა მოწინავე მუშისა და გლეხის ღრმა რწმენა გამარჯვებისადმი. ლენინისა და სტალინის სახელები ამხნევებდნენ ლიტველ მშრომელთ მათს ბრძოლაში, და ლიტვაში წითელი არმიის ნაწილების შესვლა მიღებულ იქნა, როგორც მზის დიდხანს ნანატრი ამოსვლის მაუწყებელი გარიჟრაჟი.

და აი ლიტვის თავისუფალ მიწა-წყალს უკვე თავს დაჰკაშკაშებს სტალინური კონსტიტუციის მზე!

ლიტველი ხალხი ხედავდა, რომ საბჭოთა კავშირი, განუხრელად ანხორციელებს რა მშვიდობიანობისა და ხალხთა მეგობრობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას, პატივისცემით ეკიდება ლიტვის სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რომ მან არ სცნო პოლონელი პანების მიერ ქალაქ ვილნოს ყაჩაღური დაპყრობა, ხოლო როდესაც ეს პანები, რომლებმაც პოლონეთი დაღუპეს, გაიქცნენ, დაუბრუნა ლიტვას მისი კუთვნილი ქალაქი. ლიტველი ხალხი ხედავდა ამას და ხედავდა აგრეთვე, რომ ბურჟუაზიული ავანტიურისტები, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება და მხრებზე დაასხდნენ ლიტველ ხალხს, ამზადებდნენ ვერაგულ გამცემლობას, რომ მათ გადააქციეს ლიტვა ინგლისის იმპერიალიზმის ტიკინად და აპირებდნენ მშრომელთათვის თავს დაეტეხათ ომის აურაცხელი უბედურებანი.

ლიტველი ხალხის ფართო მასების ხელშეწყობით საბჭოთა მთავრობამ გაათავისუფლა ბალტიისპირა ქვეყნები ომის უაღრესად საშიშ საერთაშორისო პროვოკატორთაგან. არამზადები ქურდებივით გაიქცნენ. და მაშინვე დაიფხრიწა ბურჟუაზიული სიცრუის ფარდა. ლიტველი ხალხი მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგა თავისი ნამდვილი სახით. თავისუფალ არჩევნებზე მან პირველად სთქვა თავისი ჭეშმარიტი სიტყვა, ბურჟუაზიის მიერ გაუყალბებელი, და მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

საბჭოთა ხალხი ხედავს თავის ძმებს თავის ოჯახში, გახარებულთ და ბედნიერთ. 3 აგვისტოს დღე ლიტველი ხალხის ისტორიაში შევა როგორც განთავისუფლების დღესასწაული, როგორც ახალი ცხოვრების დასაწყისის, სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის დასაწყისის მომასწავებელი დღე.

საბჭოთა ბელორუსია საბჭოთა ლიტვის უახლოესი მეზობელია. ხალხთა მეგობრობის ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გამოხატულება ჰპოვა ბელორუსიის სს რესპუბლიკის მთავრობისა და ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადებაში—გადაეცეს ლიტვას სვენციანის რაიონი და ნაწილი ზოგიერთი სხვა რაიონებისა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ლიტველები შეადგენენ. ეს წინადადება მიღებულია. ასე ხდება საბჭოთა კავშირში ლიტველი ხალხის სრული გაერთიანება!

ახალი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების წარმოშობა უჩვენებს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთ, თუ რა ძალას შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ-სტალინური იდეა, თუ როგორ იჭრება ხალხის მასებში შეგნება სოციალისტური სისტემის უპირატესობისა კაპიტალისტური სისტემის წინაშე, როგორ ანათებს ბურჟუაზიული სიცრუის ბურუსში მძლავრი საბჭოთა შუქურა სოციალიზმისა, როგორ ალაგზნებს მილიონთა გულებს ამხანაგ სტალინის სახელი.

ჩვენ მხურვალედ მივულოცავთ მოძმე ლიტველ ხალხს. ჩვენ მივესალმებით მის შვილებს — ვაჟებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც სოციალიზმისადმი ერთგულება ბურჟუაზიული ძალადობისა და ჩაგვრის ყველა საშინელებაში გამოატარეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხების სტალინურ ოჯახში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ღირსეულ ადგილს დაიჭერს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშიც და ჩვენი საერთო სამშობლოს თავდაცვაშიც. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს გაუმკლავდეს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

(„პრავდა“, 4/VIII).

# რკინიგზელის სრულიად-საკავშირო დღე

## ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლა

### მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში

4 აგვისტოს მთელმა ქვეყანამ დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით აღნიშნა რკინიგზელის სრულიად-საკავშირო დღე. დიდმა სარკინიგზო სახელმწიფომ ეს ისტორიული წლისთავი უდიდესი აღმავლობისა და საყოველთაო აღფრთოვანების ვითარებაში აღნიშნა. ყველგან—მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ლვოვში, ვიბორგში, ტაშკენტში, ბაქოში, ვლადივოსტოკში, ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხეში რკინიგზელებმა და მთელმა საბჭოთა ხალხმა ცხადჰყვეს თავიანთი ერთგულება ბოლშევიკების პარტიისა და მისი დიდი ბელადის რკინიგზის ტრანსპორტზე გამარჯვებათა სულისჩამდგმელის ამხანაგ **სტალინისადმი.**

სადღესასწაულოდ მოურთავთ მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. აქ თავიანთი სასახელო მუშაობის შესაჯამებლად შეკრებილა 150.000 რკინიგზელი—მეორთქმავლეები, მევაგონეები, ლიანდაგის დარგის მუშაკნი, მშენებელნი, კავშირგაბმულობის მუშაკნი. მათ ესტუმრა 100.000 კაცი—მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, დედაქალაქის ინტელიგენცია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წითელი არმიის მებრძოლნი და მეთაურნი.

...მწვანე თეატრი მზრუნველობით არის მორთული ლოზუნგებით, დეკორირებულია ყვავილებით, სცენაზეა გამოხატულება მძლავრი ორთქმავლისა „ის“, რომელიც ახასიათებს საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილ მოძრაობას კომუნიზმისაკენ, ამხანაგ **სტალინის** დიდი პორტრეტი, მისი ერთგული მეგობრებისა და თანამებრძოლების პორტრეტები.

საღამოს 5 საათია. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში გამოჩნდებიან გზათა სახალხო კომისარი ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩი**, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. **შჩერბაკოვი**, სახალხო კომისრის მოადგილენი, გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მოსკოვის კვანძის სტახანოველი კრივონოსელები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებსაც ტაშის გრიალით ხვდებიან. მქუხარე ოვაციითა და აღტაცების შეძახილებით იღებენ წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან რევოლუციის ლოკომოტივის დიდი მემანქანე ამხანაგი **სტალინი** და მისი ერთგული თანამებრძოლნი—ამხანაგები **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ჟდანოვი, ანდრეევი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი.**

შემოაქვთ წინადადება, რომ ამხანაგი **სტალინი** არჩეულ იქნას საზეიმო სხდომის საპატიო თავმჯდომარედ. ყველა დამსწრენი, ერთიანი გრძნობით აღფრთოვანებულნი, ფეხზე დგებიან და შეძახილებით „გაუმარჯოს რკინიგზელთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ **სტალინს**, ჩვენი გამარჯვებათა სულისჩამდგმელს!“ მიესალმებიან მშრომელი კაცობრიობის ბელადს.

ათეული ათასობით დამსწრენი გულთბილად ეგებებიან სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარს ამხანაგ კაგანოვიჩს. მის მკაფიო, სურათოვან სიტყვას, რომელსაც ხშირად აწყვეტინებენ მქუხარე ტაშით, მარტო მწვანე თეატრში კი არ ისმენდნენ. რადიო საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეს გადასცემდა სახალხო კომისრის თვითეულ სიტყვას.

ამხანაგი კაგანოვიჩი ლაპარაკობს რკინიგზელის დღის უდიდეს მნიშვნელობაზე. ამ დღეს რკინიგზელები მიღებულ იქნენ კრემლში ამხანაგ **სტალინის** მიერ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ.

ამ დღეს ამხანაგმა **სტალინმა** თავისი სიტყვით უდიდეს თეორიულ და პოლიტიკურ სიმაღლეზე აიყვანა რკინიგზის ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა ჩვენს სახელმწიფოში.

რკინიგზელთა სტალინური დღე არის რკინიგზელთა ღირსების დღე, მათი ძალების, წარმატებებისა და იმ ნაკლოვანებათა დათვალიერების დღე, რომლებიც აღმოფხვრილ უნდა იქნან გაბედული, გადამწყვეტი თვითკრიტიკის დახმარებით.

აჯამებს რა 1935 წლის 30 ივლისიდან გასული 5 წლის მუშაობის შედეგებს, ამხანაგი კაგანოვიჩი ამბობს, რომ რკინიგზელები სძლევდნენ სიძნელეებს, ააშკარავებდნენ და სპობდნენ თავიანთ ნაკლოვანებებს, ამგვარად ადიდებდნენ დატვირთვასა და ტვირთზიდვას მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად, ცდილობდნენ და ცდილობენ კეთილსინდისიერად და ბოლშევიკურად შეესრულებინათ და შეასრულონ რკინიგზელთა საყვარელი მეგობრის—ამხანაგ **სტალინის** მითითებანი იმის შესახებ, რომ რკინიგზის ტრანსპორტი უნდა იყოს ზუსტი საათის მექანიზმივით შეწყობილი კონვეიერი.

ახასიათებს რა რკინიგზის ტრანსპორტისა და რკინიგზელთა ამოცანებს, ამხ. კაგანოვიჩი ამბობს, რომ რკინიგზელებმა ამჟამად თავიანთი მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოო საშუალებების, ლიანდაგის, მოძრავი შემადგენლობის მოვლის გაუმჯობესებას და განსაკუთრებით მათი რემონტის გაუმჯობესებას, რაც მუშაობის ქვაკუთხედს უნდა შეადგენდეს; მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ზამთრისათვის, დატვირთვის გეგმის შესრულებას არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც ტვირთის გვარეობის მიხედვით, დისციპლინის განმტკიცებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესრულების საფუძველზე, მარცხისა და ავარიის ლიკვიდაციას; პირველ რიგში ისეთი მარცხისა და ავარიისა, რომლებიც ხდება დისციპლინისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დარღვევის მიზეზით, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას და რკინიგზების რენტაბელობის გადიდებას, კულტურის, ორგანიზებულობის, მეცნიერულობისა და დისციპლინიანობის ამაღლებას მთელს მუშაობაში, რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვილობისა და რეკონსტრუქციის განმტკიცებას.

ამხანაგი კაგანოვიჩი ლაპარაკობს მშვიდობიანობის სტალინური საგარეო პოლიტიკის უდიდეს პრინციპულ გამარჯვებებზე, რომლებიც შეაჯამა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **მოლოტოვმა.**

ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მოძმე ხალხთა მიმართ კრება მქუხარე ოვაციებით ხვდება ამხანაგ კაგანოვიჩის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ამ ხალხებთან ერთად საბჭოთა რკინიგზელების ოჯახს შეემატა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის, აგრეთვე უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების 115 ათასზე მეტი რკინიგზელი.

განსაკუთრებული ძლიერებით გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, როცა ამხანაგი კაგანოვიჩი ლაპარაკობს ამხანაგ **სტალინზე**, მშრომელთა განმათავისუფლებელზე, სსრ კავშირის ხალხთა ბელადზე, ჩვენი ეპოქის გენიალურ ადამიანზე, რკინიგზელთა სიყვარულზე თავისი მეგობრისა და მასწავლებლისადმი.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა მისასალმებლად მოვიდნენ მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

აუდიტორია აღტაცებით შეეგება ხუთი ახალი გზის — ბელოსტოკის, ბრესტ-ლიტოვსკის, კოველის, ლვოვისა და კიშინიოვის გზების რკინიგზელთა დელეგაციას. სოციალიზმის ქვეყნის ახალი ოლქებიდან და რესპუბლიკებიდან წარმოგზავნილებმა თავიანთი მშობლიური მიწის მშრომელებისაგან მგზნებარე ბოლშევიკური სალამი გადასცეს ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს**, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**, მთელს საბჭოთა ხალხს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებანი ამხანაგ **სტალინისადმი**, ამხანაგ **მოლოტოვისა** და **კალინინისადმი.** (საქდესი).

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

# საინფორმაციო ცნობა

## კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 5 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის შესახებ

5 აგვისტოს, საღამოს, 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეოთხე გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგშია ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადება.

სხდომის გახსნისას ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრები შემოდიან დარბაზში და ტრიბუნასთან ჩერდებიან. დეპუტატები კომისიის წევრებს — ლატვიელი ხალხის წარმომადგენლებს ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან.

ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის სახელით განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელს, მინისტრ-პრეზიდენტს **ა. კირხენშტეინს.**

ტრიბუნაზე ამხ. კირხენშტეინსის გამოჩენას ეგებებიან მქუხარე ტაშით, რომელიც მხურვალე ოვაციად იქცევა. მისი სიტყვა, ლატვიურ ენაზე წარმოთქმული, არაერთხელ იქნა ტაშით შეწყვეტილი.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. კირხენშტეინსი სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ლატვიის რესპუბლიკის სეიმის დეკლარაციას სსრ კავშირში ლატვიის შესვლის შესახებ. დარბაზში კვლავ იმართება ხანგრძლივი ოვაცია თავისუფალი, მოძმე ლატვიის ხალხის პატივსაცემად.

ამხ. კირხენშტეინსის სიტყვას რუსულ ენაზე სთარგმნის სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ. **პ. ბლაუსი.**

ამხ. კირხენშტეინსის გამოსვლის დამთავრების შემდეგ სრულუფლებიანი კომისიის წევრები, თავმჯდომარის ამხ. **ნ. მ. შვერნიკის** მიწვევით, იკავებენ ადგილებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატებს შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადების განხილვაზე.

პირველი ლაპარაკობს სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ. **პ. პლესუმსი.** მის სიტყვას ლატვიური ენიდან რუსულზე სთარგმნის სრულუფლებიანი კომისიის წევრი ამხ **გ. ილინი.**

შემდეგ გამოვიდნენ სრულუფლებიანი კომისიის წევრები: ამხ. **ევა რუსის-პალდინია,** ლატვიის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **ი. პაბერზსი** და სახალხო კეთილდღეობის მინისტრი ამხ. **ი. ლაცისი.** მათი სიტყვები რუსულ ენაზე სთარგმნეს **ამხ. დ. დერგაჩმა, ს. სიმანოვიჩმა** და **ი. კაგისმა.**

ლატვიელი ხალხის წარმომადგენელთა სიტყვები არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მთელი დარბაზის მხურვალე ოვაციებით.

შემდეგ გამოდის უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. ახუნბაბაევი.** სსრ კავშირის მთავრობის დავალებით ამხ. ახუნბაბაევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს პროექტი კანონისა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ“. ამხ. ახუნბაბაევის სიტყვას, რომელიც წარმოთქმულ იქნა უზბეკურ ენაზე, სთარგმნის ამხ. **ი. კარიმოვი.**

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ“.

„მოისმინა რა ლატვიის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს ლატვიის სეიმის თხოვნა და მიღებულ იქნას ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-34 და მე-35 მუხლის შესაბამისად ჩატარდეს მოკავშირე ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები.

3. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ კანონის ერთხმად დამტკიცებას უმაღლესი საბჭოს მიერ დარბაზში დამსწრენი მქუხარე, აღტაცებული ტაშით ეგებებიან. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს ჰქუხს ოვაცია ახალი მოკავშირე ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პატივსაცემად, თავისუფალი ლატვიელი ხალხის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურის — ამხანაგ **მოლოტოვის** პატივსაცემად, ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

10 საათსა და 20 წუთზე კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეოთხე გაერთიანებული სხდომა იხურება

# კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 5 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის დღიური

საღამოს 6 საათისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზი, აივანი და ლოჟები გავსებულია. თავმჯდომარის მაგიდასთან არიან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე—დეპუტატი ა. ა. ანდრეევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე—დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი — დეპუტატები ტ. დ. ლისენკო და უსმან იუსუპოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი—დეპუტატები ჩ. ა. ასლანოვა და მ. ვ. კულაგინი. ლოჟებში არიან ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. მ. მალენკოვი, მ. ფ. შკირიატოვი, ს. კ. ტიმოშენკო, ა. ე. ბადაევი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, რ. ს. ზემლიაჩკა, ა. ფ. გორკინი, ნ. გ. კუზნეცოვი, ი. ტ. თევოსიანი** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა წევრები და სახალხო კომისრები. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ოვაციით მიესალმებიან ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლთ — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე — დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი. სესია გადადის დღის წესრიგის მეოთხე საკითხის— ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადების განხილვაზე.

სრულუფლებიანი კომისიის წევრები შემოდიან დარბაზში. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და ოვაციას უმართავენ მათ. გაისმის მისასალმებელი შეძახილები განთავისუფლებული ლატვიელი ხალხის პატივსაცემად, დიადი ბოლშევიკური პარტიის პატივსაცემად, ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პატივსაცემად. სრულუფლებიანი კომისიის წევრებს მოაქვთ წითელყდიანი წიგნი — ლატვიის რესპუბლიკის სეიმის დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შესვლის შესახებ. ტრიბუნის მახლობლად სრულუფლებიანი კომისიის წევრები გაშლიან წითელ დროშას — დროშას, რომლის ქვეშ იბრძოდა და გაიმარჯვა ლატვიის მშრომელმა ხალხმა.

დეპუტატი შვერნიკი სიტყვას აძლევს სრულუფლებიანი კომისიის მეთაურს, ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელს, მინისტრ - პრეზიდენტს ამხ. **კირხენშტეინს.** მას საყოველთაო ოვაციით ხვდებიან, მისი სახით მიესალმებიან რა მშრომელ ლატვიელ ხალხს, რომელიც შემოდის საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

ამხ. კირხენშტეინსი ლაპარაკობს მშობლიურ ლატვიურ ენაზე.

— ლატვიის მშრომელი ხალხის სახელით, — ამბობს იგი, — გულითადს მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, მთელს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს, მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

— გაუმარჯოს სტალინს!—გაისმის შეძახილები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ამხ. კირხენშტეინსის სიტყვების საპასუხოდ.

ამხ. კირხენშტეინსი ლაპარაკობს მეგობრობის იმ განუყრელ კავშირზე, რომელიც ლატვიის ხალხს აკავშირებს საბჭოთა კავშირის ხალხებთან. ორატორს მოჰყავს სიტყვები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა, რომელიც ლატვიის მუშათა კლასის შესახებ ლაპარაკობდა, როგორც რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის შესახებ.

— უდიდესი მოწიწების გრძნობით, — ამბობს ამხ. კირხენშტეინსი, — როგორც ლატვიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მონაწილეს, რომელმაც თავისი პირადი ბედი ამ პროლეტარიატს დაუკავშირა, მომყავს ჩვენი დიდი მასწავლებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ეს სიტყვები.

ამხ. კირხენშტეინსი ზიზღითა და გულისწყრომით ლაპარაკობს იმ უმაგალითო ჩაგვრისა და ექსპლუატაციის რეჟიმის შესახებ, რომელიც ახლა დაამხეს ლატვიის მშრომელებმა. გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტი უბადრუკ, ნახევრადმშიერ არსებობას მიაჩანჩალებდა, უმიწობისა და მცირემიწიანობისაგან იტანჯებოდა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ლატვიის არავითარ „დამოუკიდებლობაზე“ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ლატვიის მმართველი ხროვა არსებითად უბადრუკი ტიკინა იყო იმპერიალისტური მტაცებლების ხელში. ლატვიის მთავრობა, თავისი იმპერიალისტი ბატონ-პატრონების ბრძანების მორჩილი, ცდილობდა ჩაეშალა საბჭოთა კავშირთან დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, ამზადებდა პროვოკაციებს წითელი არმიის წინააღმდეგ, ლატვიის ხალხის დიდი მეგობრის — სსრ კავშირის წინააღმდეგ.

— საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ,—აცხადებს ერთსულოვან ტაშში ამხ. კირხენშტეინსი,—ამხილა და ჩაშალა ეს მტრული პროვოკაციული მახინაციები, რომლებიც მიმართული იყო სსრ კავშირის და ლატვიის ხალხთა წინააღმდეგ. დაამხეს რა საზიზღარი ექსპლუატატორული რეჟიმი, ლატვიის მშრომელებმა სახალხო სეიმის 14-15 ივლისის არჩევნებში პირველად გამოხატეს თავისუფლად თავისი ნება-სურვილი. კენჭისყრაში მონაწილე ყველა ამომრჩეველთა 97,6 პროცენტმა თავისი ხმა მისცა მშრომელი ხალხის ბლოკის კანდიდატებს და ამით დაამტკიცა თავისი შეურიგებელი სიძულვილი ექსპლუატატორული რეჟიმისადმი.

გამოჰხატა რა ხალხის ერთსულოვანი ნება-სურვილი, სეიმმა ლატვია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა და მიიღო დეკლარაცია მისი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შესვლის შესახებ.

ამხ. კირხენშტეინსი საზეიმო მდუმარებაში კითხულობს დეკლარაციას. შემდეგ გადასცემს მას დეპუტატ შვერნიკს და დასასრულ გამარჯვებას უსურვებს დიდ საბჭოთა კავშირს, ხალხთა სტალინურ მეგობრობას, საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. დეპუტატები და სტუმრები აღტაცებით მიესალმებიან ხალხთა დიდ განმანთავისუფლებელს — ამხანაგ სტალინს.

დეპუტატ შვერნიკის წინადადებით ლატვიის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრები ამხ. კირხენშტეინსის მეთაურობით იკავებენ ადგილებს შუა დარბაზში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადების განხილვაზე. ტრიბუნაზე ადის სრულუფლებიანი კომისიის წევრი, ლატვიის კომუნისტური პარტიის ლიბავის კომიტეტის მდივანი ამხ. **პ. პლესუმსი.** დეპუტატები და სტუმრები ტაშით გულთბილად ხვდებიან მოძმე ხალხის წარმომადგენელს. მისი სიტყვა, მშობლიურ ენაზე წარმოთქმული, არაერთხელ იწვევს ტაშს.

ამხ. პლესუმსი ამბობს, რომ განხორციელდა მრავალი წლის ოცნება ლატვიელი მშრომელი ხალხისა, რომელმაც დაამხო მისთვის საზიზღარი კაპიტალისტური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ლატვიელმა ხალხმა ახლა მოიპოვა ბედნიერი ცხოვრების უფლება და აშენებს მას კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

22 წლის წინათ კრემლში, ლატვიელთა მე-9 მსროლელი პოლკის კრებაზე, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ლაპარაკობდა საბჭოთა წყობილების გარდუვალ გამარჯვებაზე ლატვიაში და ახლა ამხ. პლესუმსი სიხარულით აღნიშნავს პროლეტარული რევოლუციის დიდი სტრატეგის ამ გენიალური წინასწარჭვრეტის განხორციელებას.

თითქმის ათ წელს იჯდა საპყრობილეში ამხ. პლესუმსი, რომელიც იქ მომწყვდეულ იქნა არალეგალური კომუნისტური მოღვაწეობისათვის. ასე უსწორდებოდა ლატვიის რეაქციული მთავრობა ლატვიელი ხალხის ყველა მოწინავე შვილს.

ლატვიის კომუნისტურ პარტიას ერთი წუთითაც კი არ შეუწყვეტია მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა არალეგალობის პირობებშიც. ბოლოს ხალხმა გაიმარჯვა. ლატვიის სახალხო სეიმმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

—მე, როგორც სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრი,—ამბობს ამხ. პლესუმსი,—ვთხოვ უმაღლეს საბჭოს დააკმაყოფილოს სეიმის თხოვნა და მიიღოს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.

ტრიბუნაზე ადის ლატვიის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრი ქალი ამხ. **რუსის-პალდინია.** იგი ლატვიის კომუნისტური პარტიისაგან, ლატვიის სახალხო სეიმისაგან, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელი ქალებისა და მთელი მშრომელი ხალხის სახელით მხურვალე სალამს გადასცემს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ძმურად მიესალმებიან მას ტაშით დეპუტატები და სტუმრები.

ამხ. რუსის-პალდინია დაპატიმრებული იყო არალეგალური მუშაობისათვის და თითქმის 9 წელს იჯდა საპყრობილეში, აქედან დაახლოებით სამ წელს განმარტოებულად იყო დამწყვდეული.

— მაგრამ ვერავითარმა წამებამ, ვერავითარმა ტანჯვამ,—ამბობს ტაშის გრიალში ამხ. რუსის-პალდინია,—ვერ შეარყია ჩემი რწმენა იმაში, რომ კომუნისტური პარტიის საქმე გაიმარჯვებს, რომ ჩვენ ვახსოვართ დიდ საბჭოთა ხალხს, რომ ჩვენ ვახსოვართ იმას, ვის სახელსაც ჩვენ მუდამ გულში ვატარებთ—ამხანაგ სტალინს.

ამხ. რუსის-პალდინიას გამოსვლის ყოველი სიტყვა გამოხატავს ლატვიის განთავისუფლებული მშრომელი ხალხის სიხარულს, მის სურვილს შევიდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, მის მზადყოფნას — განამტკიცოს თავისი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ლატვიის სს რესპუბლიკის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრს ამხ. **პაბერზს.** სიმწრით არის აღსავსე მისი მოთხრობა ლატგალიელთა მძიმე ცხოვრებაზე ლატვიის რეაქციული მთავრობის უღელქვეშ. ლატგალიელი გლეხები მოტყუებულ იქნენ ბურჟუაზიული მმართველების მიერ და უმიწოთ დარჩნენ. ლატგალიელებს სახელმწიფო აპარატში არ ამუშავებდნენ. ლატგალიის მოსახლეობა, ლატვიის მთელ ხალხთან ერთად, სთხოვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ლატვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში.

როცა ამხ. პაბერზსი, ამთავრებს თავის სიტყვას, შესძახებს:

— გაუმარჯოს სსრ კავშირის ორგანიზატორს, მის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, ხალხთა განმათავისუფლებელს, ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!—ყველა დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. იმართება მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია.

გულთბილად ხვდებიან დეპუტატები და სტუმრები ლატვიის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის წევრის ამხ. **ი. ლაცისის** გამოსვლას. სიმწარითა და სიძულვილით არის გაჟღენთილი მისი ხმა, როცა იგი ლაპარაკობს იმ ძალადობაზე, რომელსაც ულმანისის მმართველი ხროვა სჩადიოდა მშრომელი ლატვიელი ხალხის მიმართ, როცა ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მძიმე იყო ხვედრი ლატვიის პროგრესიული ინტელიგენციისა, რომელიც მუშებთან და გლეხებთან ერთად იბრძოდა ექსპლუატატორების წინააღმდეგ.

— მე ეს თავის თავზე გამოვცადე, — ამბობს ამხ. ლაცისი,—სოციალ - პოლიტიკურ თემებზე წერა უსასტიკესად იყო აკრძალული.

შემაძრწუნებელი იყო მუშებისა და გლეხების მდგომარეობა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშების მდგომარეობა, მათზე ის შეკვეცილი „შრომითი კანონმდებლობაც“ კი არ ვრცელდებოდა, რომელიც ქალაქებში მოქმედებდა. ხალხი ფაქტიურად მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას, ულმანისის მთავრობა ხალისით ხსნიდა ეკლესიებს სკოლებისა და სხვა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა მაგივრად.

ლატვიელი ხალხის ბედნიერი მომავლისადმი მხურვალე რწმენით არის აღსავსე ორატორის დასკვნითი სიტყვები.

— საზიზღარი მთავრობა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა დაეცა. ლატვიელი ხალხის უდიდესი სულიერი ძალა არ ჩამქრალა—იგი ვერ ჩაახშეს ჩაგვრისა და ძალადობის წლებმა. ახლა ეს ძალა მთელი ძლიერებით გაიშლება.

სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი სიტყვას აძლევს უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დეპუტატ ი. ახუნბაბაევს. იგი უზბეკურ ენაზე ლაპარაკობს. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის რა საუცხოო სიმბოლოა, რა მკაფიო დემონსტრაციაა: უზბეკეთის წარმომადგენელი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოს წინაშე ბალტიისპირა ქვეყნის ხალხის თხოვნას!

— ლატვიის მემამულეები და კაპიტალისტები მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდნენ პროვოკაციულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, ცდილობდნენ გადაექციათ თავიანთი ქვეყანა სსრ კავშირზე თავდასხმის პლაცდარმად. ცდილობდნენ მოეშხამათ მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შეგნება საზიზღარი ცილისწამებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ხალხის მოტყუება არ შეიძლება! სიმართლე თავისას გაიტანს. ჩვენში, უზბეკეთში, არის შესანიშნავი ანდაზა: „რარიგ უნდა ეცადო დაჰფარო მზე ცხვირსახოცით, ვერ დაჰფარავ. იგი შენი „ცხვირსახოცის“ დამოუკიდებლად არსებობს“. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, საბჭოთა კავშირის ბედნიერი ცხოვრების შესახებ სიმართლეს ვერავითარი ცხვირსახოცით ვერ დაჰფარავ, ვერავითარი ცილისწამებით ვერ დაჰფარავ სიმართლეს იმ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით!

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმის ამ სიტყვების პასუხად. დეპუტატი ახუნბაბაევი განაგრძობს:

ლატვიელმა ხალხმა ბოლო მოუღო ექსპლუატატორულ რეჟიმს. ამიერიდან მან თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღო. და იგი თავის თვალს მიაპყრობს სოციალიზმის დიად ქვეყანას, სადაც სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, სადაც ყველა მოქალაქეს აქვს შრომის, დასვენების, განათლებისა და მოხუცებულობაში უზრუნველყოფის უფლება.

სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ იფურჩქნებიან მოკავშირე რესპუბლიკები. ამის მკაფიო მაგალითია ჩვენი უზბეკეთი.

ჩვენს საბჭოთა კავშირში ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის შესვლა ამ რესპუბლიკის წინაშე გადაშლის ყოველმხრივი განვითარების პერსპექტივებს.

მთავრობის დავალებით აქვეყნებს რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახები კანონის პროექტს, დეპუტატი ახუნბაბაევი ამბობს:

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლატვიელი ხალხი სტალინური კონსტიტუციის დროშით ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწევს. ამის საწინდარია მთელი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარება, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის დახმარება.

დეპუტატი შვერნიკი კენჭს უყრის დეპუტატ ახუნბაბაევის მიერ გამოქვეყნებულ კანონის პროექტს. კენჭისყრა ხდება ცალ-ცალკე პალატებში. კანონის პროექტს ერთხმად იღებენ.

დარბაზში განსაკუთრებული ძალის ოვაცია იმართება. დეპუტატები და სტუმრები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა ხალხების დიად ოჯახის ახალ წევრებს. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გაისმის მისასალმებელი შეძახილები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, დიდი სტალინის პატივსაცემად. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

## ლიტვის სსრ პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებლის, დელეგაციის ხელმძღვანელის ი. პალეცკისის სიტყვა

### სიტყვა წარმოთქმულია ლიტვურ ენაზე

ამხანაგებო, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

მე, როგორც ლიტვის სახალხო სეიმის სრულუფლებიანი დელეგაციის თავმჯდომარეს, როგორც ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის თანამდებობის დროებით აღმსრულებელს და როგორც ლიტვის მშრომელი ხალხის საქმისათვის რიგით მებრძოლს, წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება განვუცხადო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს იმის შესახებ, რომ ლიტვის მშრომელი ხალხის მრავალი წლის მისწრაფება, მისი საუკეთესო შვილების მძიმე, მედგარი ბრძოლა ტრიუმფალური გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ ბრძოლაში ყველა მებრძოლს აღაფრთოვანებდა ერთი სახელი — ეს სახელია მუშათა კლასის ბრძოლის სიმბოლო და დროშა, ბელადის სახელი და მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი, დიადი საბჭოთა კავშირის ხალხის ბელადის სახელი, ლენინის საქმის განმგრძობის—**სტალინის** სახელი (**ყველა დეპუტატი ფეხზე დგება და მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას აწყობს ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. დარბაზში გაისმის შეძახილები „ვაშა“**). ეს სახელი იყო ძვირფასი თილისმა, რომელიც რიგით მებრძოლებს ბუმბერაზებად აქცევდა.

**სტალინის** სახელით აღფრთოვანებული მიდიოდა სამოქალაქო ომის წლებში სახელოვანი გამარჯვებებისაკენ მუშურ-გლეხური წითელი არმია, **სტალინის** სახელით განადგურებულ იქნა ყბადაღებული მანერჰაიმის ხაზი, ის ხაზი, რომელიც უკანასკნელი იმედი იყო არა მარტო ფინეთის თეთრგვარდიელობისა, იმპერიალისტური ანტისაბჭოთა პოლიტიკის ამ უკანასკნელი ლაქიისა და დამქაშისა ბალტიის ზღვის სანაპიროებზე, არამედ ბალტიის ქვეყნის ყველა ბოროტი და საზიზღარი თეთრგვარდიელისათვის. **სტალინის** სახელით წითელი არმია მოვიდა ლიტვაში საბჭოთა კავშირის ინტერესების დასაცავად სმეტონის ბანდების მოღალატური შეთქმულებისაგან, რომელიც მიმართული იყო 1939 წლის 10 ოქტომბრის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ჩაშლისაკენ;

**სტალინის** სახელით წითელმა არმიამ დიდი დახმარება გაუწია ლიტველი ხალხის იმ მოთხოვნებს, რომლებიც იგი უყენებდა პლუტოკრატიულ, უზურპატორულ რეჟიმს. ლიტველი ხალხის ცხოვრების უძნელეს მომენტებში საბჭოთა კავშირის მაგალითი აღაფრთოვანებდა ლიტველ ხალხს მის ბრძოლაში მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამხანაგ **სტალინის** მიერ შთაგონებულმა შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საბჭოთა მთავრობისა, რომელსაც **ვ. მ. მოლოტოვი** მეთაურობს, დაიცვა სსრ კავშირის ხალხთა დიდი ოჯახის მშვიდობა და მყუდროება, მან თავისუფლება მოუტანა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ხალხებს, მან მშვიდობიანობა და თავისუფლება მოუტანა ბალტიის ხალხებს, მათ შორის ლიტველ ხალხსაც, ბელორუსიის ხალხის ისტორიულ მეგობარსა და მეზობელს, ცარიზმის წინააღმდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა საერთო ბრძოლის მონაწილეს. ახლა სრულიად ცხადია, რომ ბალტიის სახელმწიფოთა უწინდელი მმართველები, როგორც ეს ფინეთის თეთრგვარდიელობის მაგალითით დავინახეთ, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ყოფილი მთავრობათა მოღალატური პოლიტიკის მაგალითით, სიამოვნებით დასთმობდნენ თავიანთს ტერიტორიას, როგორც პლაცდარმს, და ხალხებს ჩააბამდნენ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში. მაგრამ ეს არასოდეს აღარ მოხდება. ლიტველი ხალხი, რომელმაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ლიტვის შექმნას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადს კავშირში შესვლას, არასოდეს არ იქნება სათამაშო საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელში. იგი სწრაფად გადადის ახალი საბჭოთა ცხოვრების რელსებზე, იგი იქნება ერთგული და შეგნებული დამცველი როგორც თავისი სოციალისტური სამშობლოსი, ისე მძლავრი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საერთო სამშობლოსი.

ლიტველი ხალხი გმინავდა მებატონეთა მძიმე უღელქვეშ, პოლონელი და გაპოლონელებული მემამულენი, სამღვდელოება ახშობდნენ ლიტველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, აძევებდნენ მის ენას, რომელიც მხოლოდ მდაბიოთა ენად რჩებოდა. მხოლოდ დაბეჩავებულმა, დამშეულმა ღარიბმა გლეხობამ შეინახა ჩალით დახურულ ქოხებში ლიტვური ენა, რომელიც განწირული იყო მოსასპობად. ცარიზმმა ჯალათ მურავიოვებისა და მისთანათა წყალობით კიდევ უფრო გააძლიერა ლიტვური ენის წინააღმდეგ დევნა. ამის შედეგად კი ლიტველი ხალხი ორმოცი წლის განმავლობაში — 1904 წლამდე — რჩებოდა ყოველგვარი დამწერლობის გარეშე, იმ მცირერიცხოვანი ლიტვური ბროშურებისა და გაზეთების გამოკლებით, რომლებიც დიდი გაჭირვებით საიდუმლოდ შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. ყოველივე ამან დიდი დაღი დაამჩნია ჩვენი ხალხის ბედს. ლიტველი ხალხის მოწინავე ნაწილმა აღმართა თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა და ეს ბრძოლა მიმდინარეობდა მემამულეთა, ბნელეთის მოციქულთა და კაპიტალისტურ ექსპლოატატორთა უღლისაგან ლიტვის განთავისუფლების ლოზუნგით, ლიტვის ბედის თვითგამორკვევის უფლებისათვის და იმისათვის ბრძოლის ლოზუნგით, რომ თავისუფალი ლიტვა შესულიყო ყოფილი მეფის რუსეთის იმ თავისუფალ ხალხთა ფედერაციაში, რომლებმაც 1917 წელს მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკა შექმნეს.

ამ ნება-სურვილის გამოხატულება იყო საბჭოთა ლიტვის შექმნა 1918 წლის დეკემბერში, ხოლო შემდეგ ლიტვა-ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა 1919 წლის თებერვალში, რომელსაც სათავეში ედგა მშრომელი ხალხის საქმისათვის მტკიცე მებრძოლი კაპსუკას-მიცკევიჩიუსი. მაგრამ ლიტვის რეაქციის ძალებმა, რომლებიც მენშევიკებთან — სოციალ-მოღალატეებთან გაერთიანდნენ და სხვადასხვა იმპერიალისტურ ინტერვენტთა დახმარებით ისარგებლეს, ჩაახრჩეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. მაგრამ უსასტიკესი ტერორისა და დევნა - შევიწროების მიუხედავად ბრძოლის დროშა მაღლა ეჭირა ლიტვის კომუნისტურ პარტიას.

ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა კათოლიკური სამღვდელოების ძალა-უფლებამ, რომლის მთავარ ამოცანას ის წარმოადგენდა, რომ ლიტველი ხალხი საშუალო საუკუნეების ბნელეთის ბრჭყალებში ჰყოლოდა და ლიტვა ვატიკანის მორჩილ კოლონიად გადაექცია. 1926 წლის არჩევნების დროს კლერიკალიზმი სასტიკად დამარცხდა. ეგრეთწოდებული ხალხოსნები და მენშევიკები ნაციონალისტთა (ტაუტინინკელთა) მცირე ჯგუფს დაუკავშირდნენ და თავიანთი ხმებით სეიმში გაიყვანეს ამ ჯგუფის სამი წარმომადგენელი სმეტონას მეთაურობით. სმეტონამ, რომელიც რეაქციულ მემამულეთა და ოფიცერთა ზედა ფენებს ეყრდნობოდა, ისარგებლა კლერიკალების დახმარებით, მოახდინა სამხედრო გადატრიალება და გაანადგურა ლაუდინიკები და სოციალ - დემოკრატები. თუ რა „იდეოლოგიური“ საფუძვლები ჰქონდა ამ სამხედრო გადატრიალებას, ჩანს თუნდაც ასეთი მაგალითიდან. რეაქციულ ოფიცერთა ხროვის წარმომადგენელმა მაიორმა პლეხავიჩიუსმა, რომელიც გადატრიალებას მეთაურობდა, შემდეგ განუცხადა მიწათმოქმედების მინისტრის პოსტზე კანდიდატად წამოყენებულ ალექსას: „თუ მამულს და წისქვილს მომცემ, მინისტრი გახდები“. ალექსა მინისტრი გახდა, ხოლო პლეხავიჩიუსმა, ამ პირსისხლიანმა ჯალათმა, რომელიც თვითნებურად ხვრეტდა არა მარტო კომუნისტებს, არამედ ყველა იმას, ვისაც კომუნისტებისადმი თანაგრძნობა ბრალდებოდა, მიიღო მამული, შემოსავლიანი წისქვილი, ელექტროსადგური, ხოლო შემდეგ სმეტონასაგან კიდევ მიიღო პენსია 1.800 ლიტი თვეში. ეს უკვე იმას მოწმობს, თუ რა ხასიათის იყო ეს გადატრიალება, რომლის ერთერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ოთხი კომუნისტის დახვრეტა, ხოლო შემდეგ დაუსრულებელი დახვრეტა, სამხედრო-საველე სასამართლოების, სამხედრო და სხვა სასამართლოების განაჩენები, ხოლო სმეტონას იუსტიცია ათასობით შებრძოლებს საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევდა. სმეტონას ხელისუფლება სასტიკად ახშობდა სახალხო პროტესტის თვით ოდნავ გამოხატულებასაც კი. სმეტონამ მოატყუა ხალხი და თავისი პირადი დიქტატურა დაამყარა. ეს იყო აშკარა თვითნებობისა და ძალადობის დიქტატურა. რა თქმა უნდა, სმეტონას დიქტატურის რეჟიმი არ ყოფილა ორიგინალური, იგი დამპალი და გახრწნილი პანური პოლონეთის უუფლებო რეჟიმის უბრალო პირი იყო.

სმეტონას რეჟიმის ერთერთ ქვაკუთხედი იყო მემამულური მიწათმფლობელობის განმტკიცება. მიწის რეფორმის შესახებ არსებული კანონის შეცვლით სმეტონამ 80-დან 150 ჰექტარამდე გაადიდა მემამულეთა მამულების ნორმა, ხოლო ფაქტიურად „სანიმუშო“ მეურნეობათა სახით დატოვებული იყო მამულები 400-500 და მეტი ჰექტარის რაოდენობითაც კი. მემამულეები ყოველთვის პოულობდნენ კრედიტსა და დაცვას, მათ სმეტონა ან მისი მეუღლე — მემამულე ქალის პირადი პროტექციით ხშირად ჩამოსწერდნენ ხოლმე ზარალს. ამავე დროს წვრილ გლეხობას სულს უხუთავდა გადასახადები და ვალები, დიდძალი გლეხური კარმიდამო საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, ხოლო ამ კარმიდამოთა მფლობელი გლეხები გაღატაკებული დარჩნენ. მემამულეებს ძალიან სწრაფად აძლევდნენ ჩამოჭრილი მიწის სასყიდელს, მათ გასაჩეხად ეძლეოდათ ტყე, ხოლო ღარიბ გლეხობას ერთი ტოტის მიღებაც კი არ შეეძლო თავისი საჭიროებისათვის. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ძლიერ და ერთსულოვნად სძულდა გლეხობას სმეტონის რეჟიმი, განსაკუთრებით იმ მძიმე ეკონომიური კრიზისის შემდეგ, რომელმაც ღრმა და ძნელად წარსახოცი კვალი დაამჩნია ლიტვური სოფლის ცხოვრებას. ოდნავადაც უკეთესი არ იყო მუშათა მდგომარეობა, რომელთაც პოლიტიკური უფლებები არა ჰქონდათ: ყველა პროფკავშირი დახურული იყო, ხოლო შრომის პალატის არჩევნები ისე ხდებოდა, რომ კანდიდატებს ოხრანკა ნიშნავდა. მუშები ამ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდნენ და მათში მონაწილეობას იღებდა სულ უმნიშვნელო პროცენტი. სმეტონისეულ საავადმყოფო სალაროებს ირჩევდა მხოლოდ ამომრჩეველთა 9 პროცენტი. ექსპლოატაცია ყოვლად უტიფარი იყო, კაპიტალისტების თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა როგორც დიდს, ისე პატარა საწარმოებში.

სმეტონელთა „მზრუნველობა“ ხალხის კულტურისათვის იმით გამოიხატებოდა, რომ ყოველგვარ დაბრკოლებებს ჰქმნიდნენ მშრომელთა შვილების სკოლაში მიღებისათვის, ხოლო საყოველთაო დაწყებითი სწავლა ფაქტიურად ქაღალდზე იყო, ვინაიდან არც საკმაო რაოდენობის მასწავლებლები, არც შენობები მოიპოვებოდა და არც შესაძლებლობა ჰქონდათ ღარიბებს ფენებს, რომ შვილები სკოლაში გაეგზავნათ. მოსწავლეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით სოფლად იმით კმაყოფილდებოდა, რომ დაწყებითს სკოლაში 1-2 ზამთრის განმავლობაში დადიოდა.

ყველა პროგრესიული და კულტურული საზოგადოება დახურული იყო. არავითარი ზრუნვა მოზრდილთა თვითგანათლებისათვის არ არსებობდა. თუმცა სტატისტიკით ნაჩვენები იყო წერა-კითხვის მცოდნეობის დიდი პროცენტი, მაგრამ ესეც მარტო ქაღალდზე იყო, ვინაიდან წერა-კითხვის მცოდნედ ის ითვლებოდა, ვინც მარტო ხელისმოწერა იცოდა. უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმებს ახორციელებდნენ პობედონოსცევის რეფორმების მსგავსად. რადგან კლერუსი სმეტონის რეჟიმის ერთერთ ბურჯს წარმოადგენდა, სკოლა დიდად დამოკიდებული იყო სამღვდელოებაზე. პრესასა და ლიტერატურაში შავრაზმული ცენზურა მძვინვარებდა.

სმეტონელთა რეჟიმი ლიტველი ხალხისათვის მთლიანი კოშმარი იყო და იგი უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა ხალხის განვითარებაში. ამიტომ ლიტველი ხალხი ყველა ამ წლების განმავლობაში არა ერთხელ ამხედრდა საძულველი რეჟიმის დასამხობლად და ახლა სასურველ გამარჯვებას მიაღწია.

ბურჟუაზიულ ლიტვაში ბევრსა სწერდნენ და ლაპარაკობდნენ ლიტვის სახელმწიფოს ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობის შესახებ. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ ილუზია იყო. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ლიტვა სათამაშო იყო იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში. ვილნოს საკითხში ლიტვის კანონიერი ინტერესები არ დაიცვეს არც ერთა ლიგაში, არც მისმა მოკავშირეებმა. ასე იყო ბურჟუაზიული ლიტვის მმართველი ხროვის საგარეო პოლიტიკის ყველა სხვა საკითხშიც. მხოლოდ საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ უწყობდა ხელს ლიტვას და ეხმარებოდა მას.

ძმური წითელი არმიის დახმარებით 1919 წელს ვილნო საბჭოთა ლიტვის დედაქალაქად იქცა. 1920 წელს პოლონელების განადგურების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ვილნო გადასცა ლიტვას საზავო ხელშეკრულების საფუძველზე. 1939 წელს საბჭოთა კავშირმა არამარტო გადასცა ლიტვას ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი, არამედ ხელშეკრულებაც დასდო მასთან ურთიერთდახმარების შესახებ და ამით ლიტველი ხალხი იხსნა ახალი ომის საფრთხისაგან. ყოველივე ამას ბურჟუაზიული ლიტვა უპასუხებდა პროვოკაციებით საბჭოთა კავშირისადმი. იგი სულ უკანასკნელ მომენტამდე რჩეობდა საერთაშორისო იმპერიალიზმის ფინიად დარჩენილიყო და არ დასდგომოდა იმ პატიოსანი თანამშრომლობის პირდაპირ გზას, რომელსაც სსრ კავშირის მთავრობა სთავაზობდა. მიიღო რა ვილნო, ბურჟუაზიულმა ლიტვამ პოლონური შოვინიზმის ნაცვლად იქ მიიტანა ისეთივე ლიტვური შოვინიზმი, რომელსაც აღშფოთებით შეაქცია ზურგი ვილნოს ოლქის მრავალეროვანმა მოსახლეობამ. ბურჟუაზიული ლიტვა საპყრობილე იყო ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი ფენებისათვის, ხოლო ამავე დროს მისი მესვეურები ერთსულოვნად უმეგობრდებოდნენ ამ ეროვნებათა მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

თუ როგორ შეაფასა ლიტველმა ხალხმა ლიტვის სმეტონოველი მმართველი წრეების მთელი ხალხის სამტრო პოლიტიკა, ამას ნათლად მოწმობს ლიტვის სახალხო სეიმის ამა წლის 14 და 15 ივლისის არჩევნების შედეგები: არასოდეს არ ყოფილა ხალხის ისეთი ერთიანობა, როგორც ამ არჩევნების დროს. ხალხის მტრების ოინებისა და ჩაგონების მიუხედავად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 95,51 პროცენტმა, რომელთაგანაც 99,19 პროცენტმა ხმა მისცა „ლიტვის შრომითი კავშირის“ კანდიდატებს.

შესადარებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ სმეტონას სეიმის წინანდელ არჩევნებში ფაქტიურად მონაწილეობას იღებდა ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩეველთა დაახლოებით მხოლოდ 38 პროცენტი. ხოლო ეს უფლება ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით ისე გაფართოვდა, რომ საარჩევნო უფლება მიეცა მოქალაქეებს 21 წლის ასაკიდან მაშინ, როდესაც სმეტონას დროს არჩევა შეეძლოთ მხოლოდ მოქალაქეებს 24 წლის ასაკიდან, ხოლო არჩეული შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ მოქალაქენი 30 წლის ასაკიდან. წინათ სეიმში არცერთი მუშა, გლეხი, ჯარისკაცი, მეცნიერებისა და ხელოვნების არცერთი წარმომადგენელი, ნაციონალური უმცირესობის არცერთი წარმომადგენელი, არცერთი ქალი არ ყოფილა. იქ იყვნენ მხოლოდ დიდი და პატარა მემამულეები, მოხელეები და ოთხი ქსენძი. ხოლო სახალხო სეიმში 79 წევრს შორის ჩვენ ვხედავთ — 21 მუშას, 26 გლეხს, მეცნიერების, ხელოვნებისა და მშრომელი ინტელიგენციის 27 წარმომადგენელს, 1 ხელოსანს, 1 მოჯამაგირეს, ლიტვის სახალხო არმიის 3 ჯარისკაცს, 8 ქალს.

სახალხო სეიმმა, რომელსაც ხალხის ასეთი უმაგალითო უმრავლესობა ჰყავს და მშრომელთა უამრავ კრებებსა და მიტინგებზე გამოთქმული ესოდენი ნდობა აქვს, სახალხო კრების უფლებებით მიიღო დადგენილებანი, რომლებიც ლიტველი ხალხის მთელ ცხოვრებას წარმართავენ ახალი გზით, ხალხის ინტერესებისა და სურვილების შესაბამისად.

სახალხო სეიმმა ერთხმად მიიღო დადგენილება ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. აგრეთვე ერთხმად მიღებულია და საყოველთაო-სახალხო ზეიმით მოწონებულია სახალხო სეიმის მეორე დადგენილება — დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესვლის შესახებ. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**). ამ დადგენილების საფუძველზე გამოცხადდა სახალხო სეიმის სრულუფლებიანი დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სადაც შუამდგომლობს ლიტვის მიღებას სსრ კავშირში. ნება მიბოძეთ წავიკითხო ლიტვის სახალხო სეიმის ეს ისტორიული დადგენილება:

„ლიტველმა ხალხმა, რომელსაც შეუბრალებლად სჩაგრავდნენ ექსპლოატატორები, რომელიც ძარცვას და ძალადობას განიცდიდა, რომელსაც სიღატაკე და გადაშენება მოელოდა, ლიტვაში ახალი სახელმწიფო წყობილება დაამყარა. ისეთი წყობილება, რომლის დროსაც ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონპატრონი თვით ხალხია: ეს წყობილება არის საბჭოთა წყობილება. ლიტვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.

ლიტველი მუშები, მშრომელი ინტელიგენცია მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ უმუშევრობისაგან, გაჭირვებისა და უუფლებობის პირობებში ცხოვრობდნენ.

ლიტველ გლეხობას სულს უხუთავდა უმიწობა და მცირემიწიანობა, ვინაიდან მიწის დიდი ნაწილი ხელთ იგდეს მემამულეებმა და მიწის სხვა დიდმა მესაკუთრეებმა.

ძველ ლიტვაში კარგად ცხოვრობდნენ მხოლოდ ექსპლოატატორები — მეწარმეები, ფაბრიკანტები, ბანკირები, მემამულეები, უმაღლესი მოხელეები, რომლებიც დიდი მოგებითა და შემოსავლით გატაცებულნი ლიტვის მშრომელებს იმონებდნენ. მოსყიდული სმეტონოველი მმართველები ლიტვაში ნერგავდნენ უცხოეთის კაპიტალს, რომელიც საშინლად ძარცვავდა, მტაცებლის ბრჭყალებით ჰგლეჯდა და ფლეთდა ლიტველი ხალხის სხეულს. სულ უფრო დაუფრო მატულობდა ლიტვის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება იმპერიალისტური მტაცებლებისაგან, უცხოელი კაპიტალისტებისა და ბანკირებისაგან.

ახლა ხალხმა ძლევამოსილი წითელი არმიის დახმარებით გადააგდო სმეტონელ დამმონებელთა უღელი და თავის სახელმწიფოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. არსებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები განკერძოებული, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი სახელმწიფოები კი არ არიან, არამედ ისინი ერთმანეთს შორის განუყრელ კავშირს შეადგენენ. ისინი შედიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თანასწორუფლებიან კავშირში, რომელიც შექმნილია ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობამ გამოიწვია მათი უმაგალითო აყვავება, მათი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა. ისტორიულად მოკლე ვადაში ისინი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მხრივ მოწინავე რესპუბლიკები გახდნენ. ცალკე აღებულ რესპუბლიკას ამის მიღწევა არასოდეს არ შეეძლო.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მხოლოდ გაერთიანებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ წინააღუდგნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლას მათ მიერ მცირე ეროვნებათა დამორჩილებისა და დაპყრობისათვის. საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო კავშირის გარეშე, ერთიან სამხედრო - სამეურნეო ძალად მათი შეჭიდროების გარეშე შეუძლებელი იყო მსოფლიო იმპერიალიზმის შეერთებული ძალების გამკლავება, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო ფრონტებზედაც.

ლიტველმა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა კავშირი მთელი წლების განმავლობაში მის მიმართ უაღრესად მეგობრულ პოლიტიკას აწარმოებდა. თუ ლიტვა არ ყოფილა დაპყრობილი პანების პოლონეთის მიერ, თუ ლიტვას დაუბრუნდა მისი ძველი დედაქალაქი — ქალაქი ვილნო, თუ ლიტვა ომის ბობოქარ ხანძარს გადაურჩა, თუ ლიტველმა ხალხმა გადაიგდო მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელი და შესძლო თავის ქვეყანაში დაემყარებინა ერთადერთი სამართლიანი სახელმწიფო წყობილება — საბჭოთა ხელისუფლება,—ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის მეოხებით მოხდა. აი ამიტომ იყო, რომ ლიტველი ხალხი თავის საუკეთესო მომავალს მუდამ ხედავდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან მჭიდროდ დაახლოვებაში.

ლიტვის ყოფილ მმართველთა დანაშაულებრივი რეაქციული ხროვა ყოველგვარი საშუალებით უშლიდა ხელს სსრ კავშირისა და ლიტვის ძმურ დაახლოებას, ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა სსრ კავშირისა და ლიტვის მტკიცე, ურღვევი კავშირის დამყარებისათვის.

ახლა ლიტველმა ხალხმა, რომელმაც ბოლო მოუღო ჩაგვრასა და უუფლებობას, და ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება დაამყარა, საკანონმდებლო წესით უნდა განამტკიცოს ლიტვის რესპუბლიკის მტკიცე კავშირი და მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან.

ლიტვის სახალხო სეიმი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შესვლა უზრუნველჰყოფს ლიტვის სახელმწიფოს ნამდვილ სუვერენიტეტს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილ აღმავლობას, ნაციონალური კულტურის ნამდვილ აყვავებას, ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების ნამდვილ განვითარებას.

ასრულებდა რა იმ ხალხის ბრძანებას, რომელმაც დაამხო ძველი რეჟიმი — რეჟიმი ჩაგვრისა და უუფლებობისა, რეჟიმი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა,—სახალხო სეიმმა დაადგინა:

ეთხოვოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიიღოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა როგორც მოკავშირე რესპუბლიკა იმავე საფუძვლებზე, რა საფუძველზედაც შედიან სსრ კავშირში უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები.

გაუმარჯოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს (**მქუხარე ტაში**).

ლიტვის სახალხო სეიმის სრულუფლებიანი დელეგაციის სახელით გადმოგცემთ დეკლარაციას. (**ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან**). ეს დეკლარაცია არის ლიტვის მშრომელი ხალხის საუკეთესო იმედებისა და მისწრაფებათა განხორციელება და გამოხატავს მის ურყევ ნება-სურვილს ახალი, ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში.

გადავიდა რა საბჭოთა ლიტვის შექმნის კონკრეტულ ამოცანებზე, სახალხო სეიმმა თავისი ისტორიული გადაწყვეტილებით მიწის საკითხის შესახებ ლიტვის მთელი მიწა მისი წიაღითურთ, მთელი ტყე და წყლები გამოაცხადა სახალხო ქონებად, ე. ი. სახელმწიფო საკუთრებად. სახალხო სეიმმა გლეხური მეურნეობებისათვის ზღვრულ ნორმად მიიღო 30 ჰექტარი და ამით საბოლოოდ ლიკვიდაცია მოუხდინა მემამულეთა მიწათმფლობელობას. ამ ნორმის ზევით მიწის ზედმეტი ფართობი გადაეცემა სახელმწიფო მიწის ფონდს უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისათვის დახმარების გასაწევად, რათა ამ გლეხებმა საკუთარი მიწა გაიჩინონ.

სახალხო სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება გლეხებისაგან ყველა გამოსასყიდი გადასახდელების, ნარჩენებისა და ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმების ჩამოწერის და აგრეთვე საგადასახადო ტვირთისა და სესხის ვალდებულებათა შემსუბუქების შესახებ.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ლიტვის ყველა მშრომელნი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენ, ლიტვის სახალხო სეიმის სრულუფლებიანი დელეგატები, ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელთა სახელით ვთხოულობთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ჩვენს მიღებას მოკავშირე რესპუბლიკის უფლებებით. მთელი ლიტვა მოუთმენლად მოელის უმაღლესი საბჭოს ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას. ჩვენის მხრით, სიტყვას ვიძლევით, რომ ამ პატივს ღირსნი გავხდეთ და მთელი ენერგიით ჩავებათ სოციალისტური მშენებლობის დიად მუშაობაში, სსრ კავშირის ხალხებთან ხელიხელჩაკიდებულებმა განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა.

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას! (**ტაში**).

გაუმარჯოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განთავისუფლებულ ხალხს! (**ტაში**).

გაუმარჯოს დიად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს! (**ტაში**).

გაუმარჯოს სსრ კავშირის მთავრობასა და მის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)! (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს ბრძენ ბელადს, მშრომელი კაცობრიობის ბრძოლისა და გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, ჩვენს მეგობარსა და გამანთავისუფლებელს დიდ **სტალინს! (ტაშის გრიალი. მქუხარე ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან შეძახილებით: „ვაშა“).**

## ლიტვის სსრ დელეგაციის წევრის ამხ. პრანას პეტრაუსკასის სიტყვა

### სიტყვა წარმოთქმულია ლიტვურ ენაზე

ამხანაგებო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ჩემი ძმები, საშუალო გლეხები, მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები, რომლებმაც მე ამირჩიეს თავიანთ დეპუტატად კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ლიტვის პირველ სახალხო სეიმში, ჩემი პირით მგზნებარე სალამს უთვლიან ჩვენს დიდ განმათავისუფლებელს, მეგობარს, მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ **სტალინს (ხანგრძლივი ტაში)** და აგრეთვე უძლეველ წითელ არმიას, რომელმაც ჩვენ თავისუფლება მოგვიტანა (ტაში). ძმური სალამი ყველა თქვენგანს, ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო. (ტაში).

მთელი მშრომელი ხალხის საძულველ ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელიც ჩვენ დავამხეთ, უყვარდა ჩვენს წინაშე კვეხნა: ქვეყნიერებაზე ისე არავინ არ ზრუნავს თავისი ქვეყნისათვის, როგორც ჩვენ თქვენთვის—გლეხებისთვისო. მთავრობა ყოველწლიურად გაძლევთ სახელმწიფო ხაზინიდან უდიდეს თანხებს პირუტყვის მოსაშენებლად, სარძეო მეურნეობის მოსაწყობად და ამას იმიტომ აკეთებს, რომ იცავს თქვენს ინტერესებს, თვითეული ლიტველი მოქალაქის „წმინდათა-წმინდა საკუთრებასო“. თანაც სულ მუდამ გვეუბნებოდნენ, თითქოს ძალიან ცუდად ცხოვრობდნენ გლეხები და მთელი მშრომელი ხალხი საბჭოთა კავშირში, სადაც არავითარი საკუთრება არ არსებობს, სადაც ყოველივე კოლექტივიზებულია.

დიახ, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხის მიერ დამხობილი კაპიტალისტური მთავრობა იცავდა საკუთრებას, მაგრამ მხოლოდ თავის საკუთრებას. განსაკუთრებით ეს ნათელი გახდა ჩვენთვის, როდესაც ხალხის ეს უბოროტესი მტრებისა და პარაზიტების ხროვა, რომელსაც ეშინოდა თავის საქმეებზე ანგარიშის ჩაბარებისა, კუდამოძუებული გაიპარა საზღვარგარეთ. ეს ხროვა გაიქცა და თან წაიღო განძეულობითა და უცხოეთის ვალუტით სავსე ჩემოდნები. ამ ნაძარცვ საკუთრებას, რომელიც ჩვენი მძიმე შრომით იმონეს, ისინი ყოველი საშუალებით იცავდნენ. ჩვენ კი, მშრომელი გლეხები, და ჩვენი შრომითი ცხოვრება, კაპიტალისტებს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ჩვენ, როგორც მეწველ ძროხას, საკრედიტო ბილეთებს გამოვგწველიდნენ იმისათვის, რომ თავიანთთვის დიდებული სასახლეები ხეგოთ, ეყიდნათ შემოსავლიანი მამულები ჩვენს ქვეყანაში და ვილები საზღვარგარეთ.

ამხანაგო დეპუტატებო, მე თვითონ მცირემიწიანი გლეხი ვარ. ოჯახში 10 წევრი მყავს. ყველანი მთელი წლის განმავლობაში განთიადიდან შუაღამემდე ხარივით ვმუშაობთ. როგორმე ოჯახი რომ გამომეკვება, ყოველივე შესაძლებელი ვიხმარე ჩემი მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად.

მთავრობა და მისი აგენტები ყოველწლიურად მარწმუნებდნენ: შენი ოჯახი მხოლოდ მთავრობის დახმარებით არსებობს, რომ მთავრობა ძალიან კარგ საზღაურს იძლევა, როცა იგი თქვენს პირუტყვსა და რძეს ყიდულობსო. მაგრამ საქმე ნამდვილად სულ სხვაგვარად იყო. თუმცა მე ჩვეულებრივი, მცირე განათლების მქონე გლეხი ვარ, მაგრამ საკუთარი ჭკუითაც შემეძლო გავრკვეულიყავ ამ კვეხნის უტიფრობასა და სიცრუეში. ჩვენში, ლიტვაში ბევრი გლეხი საგანგებოდ ნასუქ ღორს ზრდიდა ინგლისში გასასყიდად. ამ ღორს ინგლისურ ყაიდაზე ჩვენში ბეკონს უწოდებენ. ამ ბეკონს მთავრობის სპეციალური აგენტები ყიდულობდნენ ჩვენგან ზემოდან დაწესებულ ფასად: პირველი, მეორე და მესამე თანრიგის მიხედვით. მაგრამ მცირემიწიანი გლეხი იშვიათად თუ მოახერხებდა ასეთი ღორის გაყიდვას, თუნდაც ეს ღორი, ფასების მიხედვით პირველი და მეორე თანრიგის მოთხოვნებისათვის სავსებით შესაფერისიც ყოფილიყო. ამ ფასს იღებდა მემამულე, ხოლო გლეხთაგანის, რომელიც ახერხებდა მთავრობის აგენტების გული მოეგო და მათთვის ხელი შეეწყო. მაგრამ ეს ცოტაა. ჩემი ვარაუდით, მთავრობა მე კი არ მაძლევდა რაიმე დამატებითს საზღაურს, არამედ ინგლისელი ლორდების საკეთილდღეოდ ჩემ მიერ მიყიდულ ყოველ გასუქებულ ღორზე მე იქით ვაძლევდი მთავრობას ჩემი საკუთარი ოფლით ნაშოვნ 44 ლიტს.

ამრიგადვე მე კი არაფერს მიხდიდა, არამედ მე ვუხდიდი ყოველწლიურად მთავრობას ჩემი მეორე საკუთრებისათვის — ძროხისათვის. 1939 წლის ფასებით მე დამქონდა მთავრობის სარძეო პუნქტებში რძე და მისი გაყიდვისას არავითარ დამატებითს ფასს არ ვიღებდი სახელმწიფოსაგან, არამედ თვითონ ვიხდიდი დამატებით საკმაოდ დიდ თანხას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ძროხის შენახვა გაცილებით უფრო ძვირად მიჯდებოდა, ვიდრე ის ფული, რასაც გაყიდულ რძეში ვიღებდი.

აი, მაგალითად, რა ძნელი იყო ჩვენი ძმა გლეხისათვის, საშუალო და მცირემიწიანი გლეხისათვის, კაპიტალისტურ ლიტვაში შეშისა და სამშენებლო ხე-ტყის შოვნა. ჩვენში გამოცემული იყო კანონი, რომლის ძალით შეშის ყიდვა საჯარო ვაჭრობის გარეშე არ შეიძლებოდა. მაგრამ ასეთი საჯარო ვაჭრობა თვეში მხოლოდ ორ დღეს იმართებოდა. ამ საჯარო ვაჭრობაზე 500-700 კაცი ჩამოდიოდა რაიონიდან. ყველას უნდოდა სახლში ცოტა შეშა მაინც წაეღო, რათა გაეთბო თავისი ქოხი, გაეთბო სიცივისაგან გათოშილი ბავშვები და მოხუცები, ან წაეღო სამშენებლო მასალა დანგრეული ქოხის შესაკეთებლად. მაგრამ უფრო ხშირად მცირემიწიანი გლეხი სახლში ხელცარიელი ბრუნდებოდა. მისი ბავშვები კვლავ სიცივისაგან კანკალებდნენ, ხოლო ცოლს იმის საშუალებაც კი არა ჰქონდა, რომ ოჯახისათვის საჭმელი, ან პირუტყვისათვის საკვები გაეთბო. საჯარო ვაჭრობაზე რომ შეშა გეყიდნა, ამისათვის გაცილებით იმაზე მეტი ფული უნდა გქონოდა, რაც ღარიბს ან საშუალო გლეხს შეიძლებოდა ჰქონოდა.

ხოლო იმათ, ვინც მეტყევეებთან ქეიფობდა, შეშის ყიდვა საჯარო ვაჭრობის გარეშეც შეეძლოთ. მაგალითად, ჩვენი ქსენძი, რომელიც საჯარო ვაჭრობას ესწრებოდა, ყოველთვის პირველ ადგილზე დაჯდებოდა ხოლმე მეტყევის გვერდით, და როდესაც დაინახავდა, რომ საჯარო ვაჭრობით იყიდება ტყის საუკეთესო ნაკვეთი, მეტყევეს ყურში ჩასჩურჩულებდა ხოლმე: „ეს ნაკვეთი ჩემზე დასწერეო“, და მასთან უკვე ვერაფერს გახდებოდი. ხოლო თუ კრების მონაწილე რომელიმე გლეხი შენიშნავდა მეტყევეს, რომ იგი უკანონოდ იქცევა, ქსენძი მაშინვე თვალებს დაუბრიალებდა, ხოლო მეტყევე შუბლს შეიჭმუხნიდა და დაიღრიალებდა: ვინ გაბედა აქ წესრიგის დარღვევა? კომუნისტმა? პოლიციაში გინდათ მიგაბრძანოთ? და გლეხიც იძულებული ხდებოდა გაჩუმებულიყო და მიეღო ყველაზე ცუდი ნაკვეთი, ანდა შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყო. ამ მიზეზის გამო მე თვითონ ხუთი წელია ქოხს ვაშენებ და დღესაც ვერ მომითავებია.

ამგვარად, ჩვენ ვზრდიდით პირუტყვს, ვაბარებდით მას პუნქტში, მიგვყავდა მრავალ კილომეტრზე და, ბოლოსდაბოლოს, ყოველივე ამაში ჩვენ თვითონ ვიხდიდით ფულს. ჩვენ არასოდეს არ გვებადა ზედმეტი გროშიც კი, რის გამო მარტო შავი პურით, სახარინნარევი წყლითა და წყალნარევი რძით ვიკვებებოდით, წყალნარევ რძეს მხოლოდ პატარა ბავშვებს ვასმევდით და ისიც არა ყოველთვის და არა საკმაოდ.

ასე ვცხოვრობდით მე, ჩემი ოჯახი და ჩემი მოძმე გლეხების უმრავლესობა, თუ მათ არ სურდათ დაეშვათ, რომ მიწის გადასახადის ან სხვა ვალების თავის დროზე შეუტანლობისათვის სასამართლოს ბოქაულს საჯარო ვაჭრობით გაეყიდნა უკანასკნელი ბალიში, ხოლო ბალიშის უქონლობის შემთხვევაში — თვით მიწაც. როდესაც ვალში ან გადასახადებში ჩვენი მეურნეობანი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა, ჩვენი „წმინდა“ საკუთრებიდან კვალიც აღარ რჩებოდა. სამაგიეროდ სამიწათმოქმედო ბანკისაგან უზურპატორ-პრეზიდენტის ოჯახის წევრები ასათასიან მამულებს იღებდნენ საჩუქრად.

თვითონ მე ბევრი ვიცი გულშემზარავი მაგალითები, როდესაც გლეხს, რომელმაც თავისი მიწა მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით მიიღო, სასამართლოს ბოქაული ყველაფერს ართმევდა და მას მთელ ოჯახიანად ამ მიწიდან ცარიელ მინდორში ერეკებოდა.

ხოლო თუ ღარიბ გლეხს ავად გაუხდებოდა მშრომელი ცოლი ან შვილები და საჭირო იყო მათი წაყვანა შორეულ საავადმყოფოში, ყოველივე ამის მიღწევა მხოლოდ დიდძალი ფულით შეიძლებოდა. უფულოდ—თუნდაც მოკვდი. ერთხელ მე თვითონ ვნახე: ჩვენს სამაზრო საავადმყოფოში გლეხმა თავისი ცოცხალ-მკვდარი ცოლი მოიყვანა. გამოდის უფროსი ექიმი და ეკითხება:

„მიწა გაქვს?“

„არა მაქვს“,—უპასუხებს ჩამოსული.

„ვოლოსტისაგან მოწმობა გაქვს, რომ ისინი მკურნალობის ფულს გადაიხდიან?“.

„არა“,—უპასუხებს გლეხი.

„მაშ რისთვის ჩამოსულხარ? — უკანვე გაბრუნდი“!

საეჭვოა, რომ ამ საბრალო გლეხს ავადმყოფი ცოლი შინ ცოცხალი მიეყვანოს. ის უბედური საშინლად კვნესოდა და განაწამები იყო.

ვიტყვი კიდევ — იშვიათი იყო ისეთი მცირემიწიანი ან უმიწო გლეხი, რომელიც ახერხებდა მიეცა შვილისათვის დაწყებით სკოლაზე მეტი განათლება. სოფლის ღარიბებს არამცთუ არ აკარებდნენ მეცნიერებას, — არამედ, პირიქით, მუდამ ეუბნებოდნენ, რომ სწავლულები ისედაც ძალიან ბევრი გვყავს და თუ ისინი თავიანთ შვილებს სკოლებში გაგზავნიან, ამით მხოლოდ მეტ ლატაკებსა და უსარგებლო ადამიანებს მისცემენ სახელმწიფოს.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო, თუ რა ტკბილი იყო ჩვენი ცხოვრება, ლიტველი გლეხების, საშუალო, მცირემიწიანი და მით უმეტეს უმიწო გლეხების ცხოვრება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ახლა ჩვენს უკვე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ახალი ნათელი დღეები დადგება. სხვა, საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების მაგალითი ჩვენც გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საუკეთესო ცხოვრება იმ დღიდან დაიწყება, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა გვერდში ამოუდგება მოძმე ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. მე მახარებს ჩემი სამშობლო, ლატვიისა და ესტონეთის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებსაც ერთნაირად სჩაგრავდნენ თავისი კაპიტალისტური მთავრობები და რომლებმაც ჩვენთან ერთად, იმავე მამაცი წითელი არმიის დახმარებით, მოიშორეს მშრომელი ხალხისათვის საძულველი უღელი.

თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენი დღევანდელი ისტორიული გადაწყვეტილებით დაგვეხმარეთ ახლავე დავიწყოთ ეს ახალი ცხოვრება და ამას შემდგომი ვადისათვის ნუ გადაგვადებინებთ. მე მჯერა, რომ თქვენ დაგვეხმარებით.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს, კაპიტალიზმის მიერ დამონებული ყველა ხალხის დასაყრდენსა და იმედს! (**ტაში**).

გაუმარჯოს უძლეველ სახელოვან წითელ არმიას — ჩვენს განმათავისუფლებელს! (**ტაში**).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სიამაყესა და დიდებას, ჩვენი თვალის სინათლეს, გონიერთა შორის ყველაზე გონიერს, ბელადს, მეგობარსა და მამას დიდ **სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

# გრიგოლ კოტოვსკი

## (გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო)

გრიგოლ კოტოვსკი — მოლდაველი ხალხის გმირი, საბჭოთა ქვეყნის საყვარელი სახალხო გმირია. მისი სახე — ბესარაბიის განთავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლის სახე გვევლინება დნესტრის ნაპირებზე დედა-სამშობლოსთან, დიად საბჭოთა კავშირთან ბესარაბიის შემოერთების ისტორიულ დღეს.

მოლდავეთის ყველაზე ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკის დაბადების სასიხარულო დღეები დაემთხვა კოტოვსკის დაღუპვის 15 წლისთავს.

1925 წლის ზაფხულში კოტოვსკი, რომელიც მაშინ კავალერიის კორპუსს მეთაურობდა, თავის ხანმოკლე დასვენებას ატარებდა შავი ზღვის პირას, საბჭოთა მეურნეობა ჩებანკაში, ოდესის მახლობლად. ის ამთავრებდა თავის დასვენებას, ემზადებოდა სამუშაოდ თავისი კორპუსის ნაწილების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. 5 აგვისტოს ღამეს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო: აღარ არის კოტოვსკი — მრისხანე, უძლეველი მხედარი, სარდალი, რომელმაც სახელი გაითქვა სამოქალაქო ომის ყველა ფრონტზე.

იგი დაიღუპა არა პირისპირ ბრძოლაში. მკვლელი მას ზურგიდან მიეპარა. კოტოვსკი დაეცა ყვავილების კვალზე. მისმა მძლავრმა გულმა შესწყვიტა ძგერა.

მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზემ, სამწუხარო ამბით შეძრწუნებულმა, კოტოვსკის დაობლებულ მებრძოლებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სწერდა: „საუკუნოდ დადუმდა ის, ვისი ხმა იყო რისხვა საბჭოთა ქვეყნის მტრებისათვის და ვისი ხმალი იყო მისი საუკეთესო დამცველი“.

ამხანაგ ფრუნზესთან ერთად მთელი წითელი არმია, მთელი ქვეყანა განიცდიდა მძიმე დანაკარგს.

ხალხის მტრები, ბუხარინელ-ტროცკისტი ჯაშუშები, რომლებმაც კოტოვსკის მიუგზავნეს მოღალატე — მკვლელი, სწრაფად ჰფარავდნენ კვალს. მაგრამ მათ ვერ შესძლეს კოტოვსკის სახელის მოკვლა. იგი დღითიდღე იზრდებოდა, იგი ისმოდა სიმღერებში, მოთხრობებსა და ლეგენდებში.

ვიდრე კომუნისტური პარტიის რიგებში მოვიდოდა და წითელი არმიის მეთაური გახდებოდა, კოტოვსკიმ ოქტომბრამდე განვლო მკაცრი ცხოვრება.

გრიგოლ ივანეს-ძე კოტოვსკი დაიბადა 1887 წელს დაბა განჩესტაში, კიშინიოვის მახლობლად, არყისსახდელი ქარხნის მექანიკოსის ოჯახში. მან ბავშვობა გაატარა ბაღებსა და ვენახებში. იგი ხედავდა, როგორ მუშაობენ მოჯამაგირეები მემამულეთა მიწებზე, უყურებდა მუშების ცხოვრებას არყისსახდელი ქარხნის ყაზარმებში. კოტოვსკი სწავლობდა კოკოროზის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

„აქ უკვე პირველად დაიწყო ჩამოყალიბება ჩემმა, როგორც არსებული წესის წინააღმდეგ პროტესტანტის, პიროვნებამ. პროტესტები სტიქიური, არაორგანიზებული ფორმებით გამოიხატებოდნენ, მაგრამ მე უკვე წინამძღოლი ვიყავი, ხშირად უფროსი კლასების მოსწავლეებისაც კი“, — სწერდა კოტოვსკი ავტობიოგრაფიაში.

იმ დღიდან, რაც იგი, შებოჭილი, ნაცემი ჭაბუკი, ჩააგდეს კიშინიოვის საპყრობილეში, დაიწყო კოტოვსკის, ერთგული ბუნტარის, გამძაფრებული ბრძოლა პოლიციის ბოქაულებთან, თვითმპყრობელობასთან.

ბრძოლაში კოტოვსკის არასოდეს უკან არ დაუხევია. მთელი მისი სიცოცხლე ერთიანი მიზნისაკენ სწრაფვა იყო.

რევოლუციური ბრძოლა მან დაიწყო ბესარაბიაში გლეხთა 1905 წლის აჯანყებების დროს. იგი გამოდის ღარიბთა და ჩაგრულთა დასაცავად, უწოდებს თავის თავს „სასტიკ, დაუნდობელ შურისმაძიებელს მუშებისა და გლეხებისათვის“.

მეფის მთავრობა სასტიკად სდევნიდა ამხ. კოტოვსკის. როგორც კი იგი ჩავარდებოდა საპყრობილეში, მაშინვე დაიწყებდა გაქცევისათვის მზადებას და ყოველთვის გააღწევდა ხოლმე თავს. კოტოვსკის გაქცევის შესახებ დადიოდა ფანტასტიკური ხმები, იმდენად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იყო მისი გაქცევები. გაზეთებში სწერდნენ, რომ კოტოვსკი საპყრობილიდან გაფრინდა მის მიერ შექმნილი ჰაერბურთის დახმარებით... კოტოვსკის დაადევნებდნენ ხოლმე ყველაზე გამოცდილ მაძებრებს. მისი თავი შეფასებული იყო რამდენიმე ათას მანეთად. მოსყიდვით და პროვოკაციებით პოლიცია გაიგებდა ხოლმე, სად იმალებოდა კოტოვსკი. პოულობდა მას და კვლავ ათავსებდა საპყრობილეში. კოტოვსკი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა საკატორღო სამუშაოები, ჩასვეს ნერჩინსკის მაღაროების ჯურღმულში, მაგრამ იგი იქიდანაც გაიქცა და დაბრუნდა სამშობლო ბესარაბიაში. განათლებით აგრონომს, კოტოვსკის არ შეეძლო თავისი ცოდნის გამოყენება, მან ფარი სთქვა მემამულეთა მსახურის როლზე და იბრძოდა ხალხის თავისუფალი ცხოვრებისათვის, ამ ქვეყნად სამართლიანი წესწყობილებისათვის. 1916 წელს „წოდებრივ უფლებააყრილი“ კოტოვსკი გაასამართლა სამხედრო სასამართლომ ოდესაში.

სასამართლომ მას მიუსაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით. ბორკილგაყრილი კოტოვსკი ყოველწუთს უცდიდა, რომ მას წაიყვანდნენ სახრჩობელაზე. მაგრამ მას არ უნდოდა სიკვდილზე ფიქრი, და, როგორც ყოველთვის, იგი თავს არ ანებებდა ტანვარჯიშს, ავარჯიშებდა თავის სხეულს, ემზადებოდა ჯალათებთან უკანასკნელი შეტაკებისათვის.

იგრიალა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. კოტოვსკი გამოვიდა საპყრობილიდან.

კოტოვსკის, რომელიც წინათ მარტო იბრძოდა, ახლა შეეძლო მთლიანად გაეშალა თავისი იშვიათი ძალღონე. მან თავისი ბედიღბალი შეუერთა ბოლშევიკებს, მილიონობით მუშათა და გლეხთა ორგანიზებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1918 წელს რუმინელებმა, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების თანხმობით, მოტყუებითა და ძალდატანებით ხელში ჩაიგდეს ბესარაბია. კოტოვსკი სათავეში ჩაუდგა პარტიზანების ბრძოლას რუმინელ ოკუპანტებთან. კოტოვსკის პარტიზანები ანადგურებდნენ სასაზღვრო საგუშაგოებს, დნესტრის იქით სდევნიდნენ რუმინელების პიკეტებს. კოტოვსკის ყოველი გამოჩენა დნესტრის ნაპირზე შიშსა ჰგვრიდა და თავზარს სცემდა რუმინელებს. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მაშინ არ შეეძლო დამპყრობლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. რევოლუცია კოტოვსკის გარშემო გაერთიანებულ მებრძოლებს მოუწოდებდა სხვა ფრონტებზე.

დნესტრის სანაპიროებიდან დაიწყო კოტოვსკის ბრიგადის საბრძოლო გზა. პირველად ის მეთაურობდა მე-45 დივიზიის მსროლელთა მე-2 ბრიგადას, ბრიგადასთან იყო პატარა ცხენოსანი ესკადრონი — კოტოვსკის სიამაყე — მისი მომავალი ცხენოსანი ბრიგადის ბირთვი.

ბესარაბიელი პარტიზანები, რომლებმაც თავიანთი სამშობლო ქოხები და სახლები დასტოვეს დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, შეუერთდნენ რეგულარული წითელი არმიის რიგებს და იცავდნენ საბჭოთა სამშობლოს შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, გალიციის ტყეებიდან ტამბოვის ტყეებამდე.

კოტოვსკის მებრძოლები იბრძოდნენ დენიკინელებს კიევისა და ოდესისათვის, იყვნენ პიტერთან იუდენიჩის განადგურების დღეებში, სახელი გაითქვეს პოლონეთის ფრონტზე, ანადგურებდნენ პეტლიურას, მახნოს, ანტონოველებს და სხვა კულაკურ ბანდებს.

პოლონეთის ფრონტზე პოლონელები არაფრად აგდებდნენ წითელ ცხენოსან ჯარს და კერძოდ კოტოვსკის ცხენოსნებს.

ერთხელ თეთრ-პოლონელებს ტყვედ ჩაუვარდათ ერთერთი წითელარმიელი. მას ჰკითხეს რამდენი მხედარი ჰყავს კოტოვსკისო. ტყვე წითელარმიელმა პოლონელების დასაშინებლად მაშინვე უპასუხა:

— შვიდი ათასი კაცი!

პოლონელებმა არ დაუჯერეს ტყვეს. დაუწყეს წამება. ტყვე კი დაჟინებით თავისას გაიძახოდა. ამ დროს კოტოვსკი გაბედული რეიდებით სდევნიდა პოლონელებს მათ მიერ დაკავებული რაიონებიდან. კოტოვსკელები მოულოდნელი დარტყმით შეიჭრნენ ბილაია ცერკოვში. ისინი მიიწევდნენ ფასტოვისაკენ, ათავისუფლებდნენ უკრაინულ სოფლებს და ქალაქებს პოლონელი დამპყრობლებისაგან. ახლა პოლონელებს ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ კოტოვსკის ჰყავს „შვიდი ათასი“ მხედარი.

სინამდვილეში კი კოტოვსკის სარდლობის ქვეშ არასოდეს არ ყოფილა 500 მხედარზე მეტი, ხოლო სასტიკი შეტაკებების შემდეგ კოტოვსკი ბრძოლაში მიდიოდა 150 ცხენოსნითაც კი.

და ამ პატარა სამხედრო ნაწილს სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე არ ჰქონია არცერთი დამარცხება. თეთრგვარდიელ გენერლებს, პოლონელ და ფრანგ სამხედრო პირებს ვერ გაეგოთ, რაში იყო კოტოვსკის ბრიგადის ძალა და უძლეველობა, ბრიგადისა, რომელიც ანადგურებდა მასზე უფრო მრავალრიცხოვან და უკეთესად შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს.

ასე იყო პეტლიურას ლიკვიდაციის დროს 1920 წლის ნოემბერში, როდესაც კოტოვსკის მებრძოლებმა მდინარე ზბრუჩში ჩაჰყარეს მრავალათასიანი არმია, რომელიც ანტანტის მიერ შეიარაღებული იყო მძლავრი არტილერიით და ჯავშნოსანი მატარებლებით.

სარდალი კოტოვსკი იყო გაბედული, უეცარი თავდასხმების ოსტატი. იგი ანადგურებდა მტერს ფლანგებიდან. მას გამანადგურებელ იერიშებზე მიჰყავდა თავისი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ერთნაირად შეეძლო ბრძოლა როგორც ქვეითს, ისე ცხენოსანს. კოტოვსკელები გამოჩნდებოდნენ ხოლმე იქ, სადაც მათ არ მოელოდნენ. ისინი ქარიშხალივით დაეცემოდნენ მტერს, არ აცლიდნენ მას გონზე მოსვლას, შეჰქონდათ პანიკა, ნაწილ-ნაწილ ანადგურებდნენ შემდრკალ მოწინააღმდეგეს.

სარდალი კოტოვსკი ბრძოლის დროს ყოველთვის ყველაზე საშიშ ადგილას იყო ხოლმე. მარტო მისი შეხედვა მტერს უკან ახევინებდა. იგი მოჭროდა ამოღებული ხმლით, და მისი ყოველი დარტყმა დაუნდობელი იყო. ხოლო როდესაც ხმლები ვეღარ უძლებდნენ მის ძალას და ტყდებოდნენ, კოტოვსკი წამოიწევდა ცხენზე, ჩაავლებდა მტრებს საყელოში ხელს, მაღლა ასწევდა და დაანარცხებდა მიწაზე. როდესაც იქმნებოდა საფრთხე, რომ მოწინააღმდეგე საცაა გარს შემოერტყმება ბრიგადასო, მებრძოლების წინ გამოჩნდებოდა კოტოვსკი და აღაფრთოვანებდა ახალი საგმირო საქმეებისათვის.

კოტოვსკის ძალა მდგომარეობდა მის ერთგულებაში პარტიისა და სამშობლოსადმი. ბრძოლებში იწრთობოდა ბრიგადის მაღალი დისციპლინა. შესანიშნავი იყო მისი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. დღემდე დასავლეთ უკრაინის, ოდესის ოლქის სოფლების, ტამბოვის მახლობელი სოფლების მოსახლეობა სიყვარულით იგონებს „ბესარაბიელ ყაზახებს“.

თავისი საგმირო საქმეებისათვის კოტოვსკიმ მიიღო წითელი დროშის სამი ორდენი და ოქროს საპატიო ხმალი მასზე გამოსახული წითელი დროშის ორდენით.

იგი სიცოცხლეშივე ლეგენდარული იყო. მისი სახელი ბესარაბიის მომავალი განთავისუფლების სიმბოლო იყო. კოტოვსკი ყოველთვის მზად იყო პარტიისა და მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე წასულიყო ჩაგრული თვისტომი ძმების — მოლდაველებისა და უკრაინელების განთავისუფლებლად.

— დაე რუმინელებს ეგონოთ, რომ მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ ბესარაბია. მაგრამ ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ, — ამბობდა კოტოვსკი.

რუმინელები სასტიკი ტერორით უსწორდებოდნენ ბესარაბიის მშრომელებს. დნესტრის წყლებში, სიგურანცის ჯურღმულებში, მარილის მაღაროებში იღუპებოდნენ ასობით ურჩი ბესარაბიელები. კოტოვსკის არასოდეს არ დაივიწყებია მათი განუწყვეტელი ბრძოლა. იგი ხშირად მიდიოდა დნესტრის ნაპირზე და საათობით ნაღვლიანად გასცქეროდა იქითა ნაპირს, სადაც მემამულეთა მინდვრებზე მუშაობდნენ მოჯამაგირეები.

კოტოვსკი იყო საბჭოთა მოლდავეთის ერთერთი გამოჩენილი ორგანიზატორი. გაზაფხულის ბაღივით იფურჩქნებოდა ბაღებისა და ვენახების ეს რესპუბლიკა. ბოლშევიკებმა, დაიპყრეს რა დნესტრი, გამოიყენეს იგი გვალვიანი ველების მოსარწყავად.

ბესარაბიელები საბჭოთა ნაპირზე ხედავდნენ საკონსერვო ქარხნების შენობებს, ელექტროსადგურებს, მელიორატიულ ნაგებობებს, მინდვრად ტრაქტორებს.

როდესაც დამთავრდა სამოქალაქო ომი, კოტოვსკიმ მთლიანად გაშალა თავისი სამეურნეო ნიჭი. კორპუსის მეთაურს არ დავიწყებოდა აგრონომია. იგი აწყობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლებს, კომუნებს, აღადგენდა შაქრის ქარხნებს, იგი ზრუნავდა საზღვარზე მდებარე მოლდავეთის რესპუბლიკის სიმდიდრეების ზრდისათვის.

სამაგალითო პარტიელი, იგი ებრძოდა ხალხის მტრებს ყველა ფრონტზე — ხმლითაც და სიტყვითაც. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ტროცკისტებს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ წითელი არმიის ძლიერებას. მტრებმაც კოტოვსკი თავიანთ მსხვერპლად ამოირჩიეს. უნდოდათ გზიდან ჩამოეცილებინათ იგი მისი შეურიგებლობისათვის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებისათვის.

15-მა წელმა განვლო იმ დღიდან, რაც გაისმა ჩებანკაში გასროლილი ტყვიის ხმა.

განხორციელდა კოტოვსკის ოცნება. საბჭოთა ხალხების ოჯახში შევიდა თავისუფალი და ერთიანი მოლდაველი ხალხი, რომელსაც არასოდეს არ დაავიწყდება კოტოვსკი.

კოტოვსკის საგმირო საქმეებზე სწავლობენ წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლები. მისი სახელი სამუდამოდ დარჩება, და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მშვენიერი ეჩვენება შთამომავლებს გმირის სახელი, რომელზედაც დიდმა **სტალინმა** სთქვა:

**„ჩვენს თავდაბალ მეთაურებში ყველაზე მამაცი და თავდაბალი — ასეთი მახსოვს ამხ. კოტოვსკი.**

**საუკუნო ხსენება და დიდება მას“.**

**ვლადიმერ შმერლინგი.**

# ზეიმი რკინიგზელთა საკავშირო დღეს

დიდი ზეიმით იდღესასწაულეს 4 აგვისტოს ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების რკინიგზელებმა რკინიგზელის საკავშირო დღე.

მთელ დღეს რკინიგზელთა განკარგულებაში იყო ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, რომელიც განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურებოდა თავისი მორთულობით.

რკინიგზელის საკავშირო დღეს თბილისელ რკინიგზელებს ესტუმრა სტალინის სახელობის რკინიგზის (უკრაინა) დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა სტალინის სახელობისა და ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზებს შორის გაშლილი სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესამოწმებლად.

საღამოს 6 საათიდან დაიწყო მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა საზეიმო კრების ტრანსლაცია გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკიდან. ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკის საესტრადო თეატრში თავშეყრილმა თბილისელმა რკინიგზელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს რადიოთი გადმოცემული საყვარელი სახკომის სიტყვა.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვის ტრანსლაციის დამთავრების შემდეგ დაიწყო თბილისის განყოფილების რკინიგზელთა საზეიმო კრება, რომელსაც, გარდა რკინიგზელებისა, თბილისის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სცენაზე, პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილს იკავებენ: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია, ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძე, გზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. სვანაძე, საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯორბენაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომუნარის რაიკომის მდივანი ამხ. სიხარულიძე, წარჩინებული რკინიგზელი ორგზის ორდენოსანი ამხ. ნ. გელაძე, ორდენოსანი პროფ. კ. ერისთავი, სტალინის სახელობის რკინიგზის დელეგაცია ამხ. ი. ნოვიცკის, ა. გლადკიხის, გ. იუდინის, ი. ზალესკის, ა. პარხოტკოს, ა. მიროედოვისა და ი. ზევინის შემადგენლობით, ორდენოსანი შემანქანე ამხ. ლ. ობოლაშვილი, ორდენოსანი ინჟ. თამარ ქვლივიძე, გზის საორთქლმავლო სამსახურის უფროსი, ორდენოსანი ამხ. ვ. მამაცაშვილი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი, ორდენოსანი ამხ. მ. კუჭავა, გზის მოწინავე სტახანოველ-კრივონოსელები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. ჩერქეზია** ხსნის საზეიმო კრებას.

კრება ერთსულოვანი აღფრთოვანებით და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი, დიდი **სტალინისადმი**, აღტაცებული მისასალმებელი შეძახილებით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას ხალხთა ბრძენი, საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით. ამასთან ერთად საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების მდივნები ამხ. **კ. ჩარკვიანი, მ. ბაგიროვი და გ. არუთინოვი.**

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა გზის უფროსს ამხ. გ. კიკნაძეს, რომელიც მოუთხრობს დამსწრეთ იმ გრანდიოზულ წარმატებებზე, რომლებსაც მიაღწია სოციალისტურმა რკინიგზის ტრანსპორტმა და კერძოდ ამიერ-კავკასიის **ლ. პ. ბერიას** სახელობის რკინიგზამ განვლილი ხუთი წლის მანძილზე.

კრება გადადის მისალმებათა მოსმენაზე.

პირველი სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ტექნიკურ დირექტორს ამხ. ბ. სარიშვილს.

ტრიბუნაზეა **სტალინის** სახელობის რკინიგზის დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. ი. ნოვიცკი, რომელიც სტალინის გზის კოლექტივის მხურვალე ძმურ სალამს გადასცემს **ლ. პ. ბერიას** სახელობის გზის რკინიგზელებს.

— ჩვენ გვახარებს, — ამბობს ამხ. ნოვიცკი, — რომ როგორც სტალინის სახელობის, ისე ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზები სახკომის მაღალი შეფასებით ხვდებიან რკინიგზელთა კრემლში მიღების 5 წლისთავს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ორდენოსანი შემანქანე ამხ. ლ. ობოლაშვილი.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის 4-ათასიანი კოლექტივის სახელით ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მებრძოლ კოლექტივს მხურვალე სალამს გადასცემს ამხ. ვ. აგახანიანი.

ორდენოსანი პროფესორი ამხ. კ. ერისთავი ლაპარაკობს გზის სამედიცინო მუშაკების სახელით და პირობას სდებს, რომ გზის სამედიცინო პერსონალი დაუღალავად იბრძოლებს რკინიგზელთა გაჯანსაღებისათვის.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის 3-ათასიანი კოლექტივის სახელით რკინიგზელებს მიესალმება და ულოცავს საზეიმო დღეს სტახანოველი მუშა ამხ. ს. კირიჩიანი.

დამსწრეთა უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს კრებაზე ნორჩი რკინიგზელების გამოჩენა ყვავილების თაიგულებით. ისინი მოვიდნენ, რათა მიესალმონ უფროს რკინიგზელებს და უპატაკონ თავის მიღწევებზე.

ნორჩი რკინიგზელები მწკრივდებიან ავანსცენაზე და პარტერში. საბავშვო რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. მ. ფსავიანი წარმოსთქვამს პიონერულ მისასალმებელ სიტყვას, მოუთხრობს დამსწრეთ საბავშვო რკინიგზის მიღწევებზე მისი არსებობის 5 წლის განმავლობაში და ამბობს:

— ჩვენ ვეცდებით გავხდეთ ლ. პ. ბერიას სახელობის გზის მუშაკთა ღირსეული ცვლაო.

შემდეგ ნავთლუღის კვანძის რკინიგზელთა სახელით გამოდის ვაგონების ოსტატი ამხ. ნ. ბახტაძე.

მისალმებები დამთავრდა. ამხ. მ. კუჭავას შემოაქვს წინადადება, რომ გაეგზავნოს მისალმების დეპეშა რევოლუციის ლოკომოტივის დიდ მემანქანეს ამხანაგ **სტალინს.** გაისმის მქუხარე ოვაციები, შეძახილები პროგრესიული კაცობრიობის გენიოსი ბელადის დიდი **სტალინის** პატივსაცემად. კრება ერთსულოვნად იღებს ბელადისადმი მისალმების დეპეშის ტექსტს.

ასევე ერთსულოვნად და აღფრთოვანებით იქნა მიღებული მისალმების დეპეშათა ტექსტები რკინიგზელთა საყვარელი სახკომის ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩისა** და საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლ. პ. ბერიასადმი.**

ზეიმში 35 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

# საბჭოთა პატრიოტების გმირობა

## (ხასანის ტბასთან მომხდარი ამბების ორი წლისთავის გამო).

1938 წლის ივლისის დამლევს იაპონელებმა იწყეს მოსახლეობის გარეკვა მანჯურიის მოსაზღვრე სოფლებიდან და ჯარის თავმოყრა ხასანის ტბის რაიონში. ხასანის ტბა და მის გარშემო მდებარე მაღლობები — ბეზიმიანაია, ზაოზერნაია და პულემიოტნაია — სულ 10 კილომეტრის მანძილზე იმყოფება წყნარი ოკეანის ნაპირებიდან, პირდაპირი ხაზით კი 130 კილომეტრის მანძილზე ვლადივოსტოკიდან. ეს არის შორეულ აღმოსავლეთის პრიმორიეს ყველაზე სამხრეთი ნაწილი. ბეზიმიანაიასა და ზაოზერნაიას მაღლობებიდან მოჩანს პოსიეტის ყურე და მისი ბუნებრივი უბე, რომელიც საუკეთესო ნავსადგურს წარმოადგენს მსოფლიოში. აქ, ხასანის ტბასთან, რომელიც 4-5 კილომეტრზე გაჭიმულა, თავს იყრის სსრ კავშირის, მანჯურიისა და კორეის საზღვრები. იაპონელებს რომ ეს სიმაღლეები დაეკავებინათ, ისინი უშუალოდ დაემუქრებოდნენ ჩვენს პოსიეტის უბეს და სანაპიროს ვლადივოსტოკის მიმართულებით. ამ რაიონის ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელ მდგომარეობას ჰქმნიდნენ იაპონელებისათვის და უაღრესად ძნელ მისასვლელებს ჩვენი ჯარისათვის.

1938 წლის 28 ივლისს ღამით ზაოზერნაიას და ბეზიმიანაიას მაღლობების რაიონში იაპონელებმა თავი მოუყარეს საიმპერიო გვარდიის 20.000 კაცისაგან შემდგარ შერჩეულ ჯარს, რომელიც გაძლიერებული იყო მძიმე არტილერიით, ჯავშნიანი მატარებლებითა და სხვ.

იაპონელებმა, რომლებსაც, საბჭოთა მესაზღვრეების მცირერიცხოვან რაზმთან შედარებით, მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, ძლიერი ნისლით ისარგებლეს და მოულოდნელად მიიტანეს იერიში ბეზიმიანაიას მაღლობზე. იაპონელთა ასეულს ბრძოლა გაუმართა თერთმეტმა მამაცმა საბჭოთა მეომარმა ლეიტენანტ მახალინის მეთაურობით. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, საბჭოთა მესაზღვრეები გმირულად იგერიებდნენ იაპონელთა მრავალ იერიშს. საბჭოთა მესაზღვრეებს სეტყვასავით აყრიდნენ ტყვიებსა და ყუმბარებს; ისინი სისხლით იცლებოდნენ და იძულებული გახდნენ დროებით უკან დაეხიათ მას შემდეგ, როდესაც ხუთი კაცი მოუკლეს იაპონელებმა. სროლის ხმაზე ბრძოლის ადგილას მოვიდნენ დამხმარე ძალები — ამხ. ხრისტოლიუბოვის, ჩერნოპიატკოს, აკულინუშკინისა და ლევჩენკოს ქვედანაყოფები. ამ ქვედანაყოფთა შეერთებული ძალღონით იაპონელები უკუგდებულ იქნენ. მტერმა საბჭოთა ტერიტორიიდან დაიხია და დასტოვა 100-ზე მეტი მოკლული, უმთავრესად ოფიცრები, და დიდძალი ტროფეი.

უკან დახევის შემდეგ იაპონელებმა გამალებით იწყეს მზადება იმისათვის, რომ ახალი საომარი მოქმედება გაეჩაღებინათ უფრო ფართო მასშტაბით. 30 ივლისის განმავლობაში მათ სწრაფად მოუყარეს თავი ბრძოლის რაიონში მე-19 ქვეითი დივიზიის ჯარს, არტილერიას, ნაღმტყორცნებს.

30 ივლისს ღამით ცა ღრუბლებით დაიფარა, პატარა წვიმაც მოდიოდა. საარტილერიო მომზადების შემდეგ იაპონელებმა ორი ქვეითი პოლკით დაიწყეს შეტევა ორივე მაღლობის — ბეზიმიანაიასა და ზაოზერნაიას წინააღმდეგ. დაახლოებით 12 საათზე გაისმა ყუმბარების აფეთქება და ველური ყიჟინა. ეს ამხ. ჩერნოპიატკომ მოსპო თავისი ქვედანაყოფით იაპონელ მზვერავთა ჯგუფი და გააფთრებული ბრძოლა გაუმართა შეტევაზე გადასულ ავანგარდებს. ნახევრადმთვრალ იაპონელ ჯარისკაცთა მასამ რამდენჯერმე მოიტანა იერიში სიმაღლეზე „ბანზაის“ ძახილით.

კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები. სკდებოდა ყუმბარები და ისმოდა თოფის სროლის ხმა. იაპონელთა განუწყვეტელი იერიშები დილამდე გაგრძელდა. საბჭოთა მესაზღვრეების ასეული გმირულად იბრძოდა მტრის ორი პოლკის წინააღმდეგ. ძალები სრულიადაც არ იყო თანასწორი. იაპონიის დივიზია, რომელიც გაძლიერებული იყო არტილერიით, ყუმბარმტყორცნებით, მრავალი ტყვიამფრქვევითა და სხვა სამხედრო ტექნიკური საშუალებით, 4 კილომეტრით შემოიჭრა საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში, რომლის დროსაც მან დიდი ზარალი ნახა.

დაიკავეს რა ბეზიმიანაიასა და ზაოზერნაიას მაღლობები, იაპონელებმა სასწრაფოდ იწყეს მათი გამაგრება, სანგრების, ნაგებობათა და სხვადასხვა დაბრკოლებათა აშენება. მათ გამოიყენეს გორაკების ქვიანი ფერდობები, ამ გორაკებს გადაღმა განალაგეს თავიანთი არტილერია, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები, სნაიპერები და მთლიანი ცეცხლით ჩაკეტეს ერთადერთი გზა. უაღრესად ძნელი მდგომარეობა შეიქნა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ჩაგვება ბრძოლაში წითელი არმიის მოქმედი საველე ნაწილები.

2 აგვისტოს მესაზღვრეთა დასახმარებლად მოვიდნენ პირველი განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის მე-32 და მე-40 მსროლელთა დივიზიების ქვეითი ნაწილები. 1, 2 და 3 აგვისტოს რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება მოხდა, 4 და 5 აგვისტოს გრძელდებოდა ძალთა თავმოყრა.

6 აგვისტოს, დღის 5 საათზე, გენერალური ბრძოლა დაიწყო. ჩვენმა სახელოვანმა ქვეითელებმა, მარჯვედ მსროლელმა არტილერისტებმა, გაბედულმა ტანკისტებმა, ავიაციის აქტიური დახმარებით, საშინლად დაამარცხეს იაპონელები. საღამოს რვა საათზე ბეზიმიანაიას და ზაოზერნაიას მაღლობები წითელი არმიის ნაწილებს ჰქონდათ დაკავებული. კაპიტანმა მოშლიაკმა — ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირმა, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელმა, პირველმა მიაღწია ზაოზერნაიას მაღლობის მწვერვალს და წითელი დროშა აღმართა იქ.

7-დან 11 აგვისტომდე იაპონელებმა თავიანთი რეზერვებით 20-ზე მეტი უშედეგო კონტრიერიში მოიტანეს. ამან მხოლოდ გაადიდა მათი მსხვერპლი.

თუ რა მოქმედება იქონია საბჭოთა იარაღმა იაპონელ ოფიცრებზე, ამას ყველაზე უკეთ თვით ისინი მოგვითხრობენ. ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობაზე გამოსვლის დროს საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა ვოროშილოვმა მოიყვანა მე-75 ქვეითი პოლკის პირველი ბატალიონის ყოფილი მეთაურის, იაპონელი მაიორის ნაკანას საველე წიგნის ჩანაწერი, სადაც იგი სწერდა:

მებრძოლთა ჯგუფი ზაოზერნაიას მწვერვალზე.

„უკვე მეორე დღეა, რაც ჩვენ სანგრებში ვართ, საბჭოთა არმია კი აქტიობას იჩენს... თავის გამოყოფაც კი ძნელია. წინათ ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ეს არმია ძლიერი არ არისო, მაგრამ როდესაც ჩვენ ფრონტზე შევეტაკეთ ერთმანეთს, ვხედავ, რომ ეს შეცდომა იყო. წითელი ჯარი ხშირად იმეორებდა გააფთრებულ იერიშებს. გუშინ დილით მესამე ასეულში 137 კაცი იყო, დღეს კი 50 კაცი დარჩა და ეს ასეული უკვე ერთ ოცეულად გადავაკეთეთ. 31 ივლისს გათენებისას ჩვენ პირველი ასეულით მივიტანეთ იერიში სიაცაოფინის გორაკზე. მტრის 14 ჯარისკაცი ხუთი საათის განმავლობაში უწევდა მედგარ წინააღმდეგობას ჩვენი პირველი ასეულის იერიშს და დიდ ზიანს აყენებდა მას...“

ამაზე ნაკლები ქებით არ იხსენიებდა იაპონიის სარდლობა საბჭოთა ტანკებსაც. მაგალითად, მე-75 ქვეითი პოლკის ერთერთი ბატალიონის მეთაური, მაიორი ხირაბარი თავის დღიურში სწერდა:

„საბჭოთა ტანკებმა ძალიან გაგვიჭირეს საქმე. მათ გამოიყენეს ადგილმდებარეობა, ახლო მანძილზე მოდიოდნენ და ტყვიას გვიშენდნენ. სროლა საშინელი იყო და გასროლილი ტყვიები ზედმიწევნით ხვდებოდა მიზანში“.

ხასანის ბრძოლების მონაწილე წითელი არმიის მეომართა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საგმირო საქმეებმა შესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს სოციალისტური გმირობის მატიანეში. კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, მეომრებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ამ ბრძოლების დროს გაამართლეს მაღალი ნდობა ხალხისა, იმ ხალხისა, რომელმაც სოციალისტური საზღვრების დაცვა მიანდო მათ. უპარტიო წითელარმიელები და მეთაურები, რომლებიც ხედავდნენ, თუ როგორი თავდადებით იბრძოდნენ კომუნისტები და კომკავშირელები, მათ მაგალითს ჰბაძავდნენ. უპარტიოებს გაცხარებული ბრძოლის დროს განცხადებები შეჰქონდათ პარტიასა და კომკავშირში მიღების შესახებ. „გვინდა ლენინ-სტალინის პარტიის წევრები, ლენინური კომკავშირის წევრები ვიყოთ და ისე წავიდეთ საბრძოლველად“, — აცხადებდნენ ისინი.

ხასანის ტბასთან ბრძოლის დროს სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებმა გმირობისა და თავდადების მრავალი მაგალითი გვიჩვენეს. გმირმა კომისარმა პოჟარსკიმ, ყველა წითელარმიელთა სასიყვარულო ადამიანმა, სამჯერ წაიყვანა იერიშზე თავისი მებრძოლნი. იგი სამჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ თავისი პოსტი არ დაუტოვებია, მეთაურთან ერთად კვლავ განაგრძობდა საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობას. ტყვიით განგმირულმა, მომაკვდავმა, მან ბრძოლისაკენ მოუწოდა მებრძოლთა და მეთაურებს. „მშვიდობით. ღირსეულად დაიცავით თქვენი სამშობლო! გაუმარჯოს დიდ სტალინს! წინ!“

განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა ამხ. ჩერნოპიატკომ, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირმა. იგი რამდენჯერმე იყო დაჭრილი, მაგრამ ბრძოლისათვის თავი არ დაუნებებია. ჩერნოპიატკო სწრაფად სტაცებდა ხელს იაპონელთა მიერ გადმოსროლილ შიშინა ყუმბარებს და ამავე ყუმბარებით ანადგურებდა იაპონელებს.

უმცროსი მეთაური ნიკონ შიშლოვი ხელჩართულ ბრძოლაში შეება იაპონელ ოფიცერს. მტერმა რევოლვერი დაუმიზნა. შიშლოვმა მტერს მაჯაში მოჰკიდა ხელი, მუშტით წააქცია ოფიცერი, ხელიდან გამოჰგლიჯა რევოლვერი და მოჰკლა. შიშლოვის გვერდით სოციალისტური სამშობლოსათვის იბრძოდა სპესივცევის ქვედანაყოფის კომკავშირული ორგანიზატორი. მტრის ყუმბარმტყორცნი ყუმბარების სასროლად მოემზადა, მაგრამ სპესივცევმა დაასწრო; კომკავშირელის ხიშტმა განგმირა მტერი. ბრძოლაში დაჭრილ წითელარმიელ ბაგროვს და მის ძაღლს „რექსს“ გარს შემოერტყა იაპონელთა ქვედანაყოფი. ბაგროვი არ დაიბნა. მტერმა იგი ვერ შეამჩნია. მან „რექსს“ უბრძანა მივარდნოდა ოფიცერს. „რექსმა“ ზუსტად შეასრულა ბრძანება. ერთი წუთის შემდეგ მან კბილები ჩაავლო სამურაის და ღრღნა დაუწყო. ოფიცერმა ყვირილი ასტეხა და საშველად უხმობდა. ჯარისკაცები მიცვივდნენ მასთან; მაგრამ ამ დროს ბაგროვმა მთელი შეკვრა ყუმბარები ესროლა ჯარისკაცთა გუნდს. ბაგროვმა მტრის არევ-დარევით ისარგებლა, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა და ფორთხვით დააღწია თავი გარსშემორტყმულ მტერს.

პოლიტხელის მოადგილე ბამბუროვი, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, ბრძოლაში გართული, კარგად დაშორდა თავის მებრძოლთ და დაინახა, რომ იაპონელები გარსშემორტყმოდნენ. მას თან ჰქონდა ხელის ტყვიამფრქვევი, რომლითაც სროლა აუტეხა მტერს; ესროდა მანამდე, სანამ ტყვიები არ გამოელია; შემდეგ ხელი დაავლო ტყვიამფრქვევს და იმით დაიწყო თავის დაცვა მტრისაგან, რომელიც მას აწვებოდა. იგი ისეთი ძალით არტყამდა მტერს, რომ კონდახი თავზე გადაატეხა თავდამსხმელ სამურაებს. ხელში შერჩა მარტო ტყვიამფრქვევის ტანი. ეს კი მეტად მოკლე იყო იმისათვის, რომ თავდასაცავად ემოქმედნა. იაპონელები აწვებოდნენ. აი, ერთერთმა მათგანმა ხიშტი უნდა ჩაჰკრას ბამბუროვს მკერდში, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ სიკვდილს გადაარჩინა იგი. ბრძოლა უთანასწორო ხდება. ტყვიები გამოილია. ბამბუროვი მარტო იბრძვის რამდენიმე ათეული სამურაის წინააღმდეგ. იგი უკანასკნელ ძალღონეს იკრებს, შესძახებს: „გაუმარჯოს სამშობლოს! გაუმარჯოს სტალინს!“ და დარჩენილ ორ ყუმბარას ესვრის იაპონელებს. ყუმბარების მარჯვე მოხვედრა შიშისზარს სცემს მტერს.

გმირობისა და მამაცობის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს საგმირო საქმე ლეიტენანტი ვინოკუროვისა, რომელმაც 27 საათს გაუძლო მტერს გარსშემორტყმულ ტანკში, მაიორი ტერეშკინისა, რომელიც ოთხჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია, წინ გაუძღვა თავის რაზმს და იერიში მიიტანა იაპონელთა წინააღმდეგ.

ხასანის ტბასთან ბრძოლაში სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების გამოჩენისათვის საბჭოთა მთავრობამ რამდენიმე ათასი სახელოვანი საბჭოთა პატრიოტი დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით. მათ შორის 26 კაცმა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიიღო. მე-32 და მე-40 მსროლელთა დივიზიები, რომელთაც თავი ისახელეს, ორდენოსნები გახდნენ.

საბჭოთა პატრიოტების გმირობა, რომელიც მათ ხასანის ტბასთან იაპონელთა განადგურების დროს გამოიჩინეს, აღაფრთოვანებდა მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მდინარე ხალხინგოლთან ბრძოლის დროს, ჩვენი დასავლეთ უკრაინელი და დასავლეთ ბელორუსიელი თანამოძმეების განთავისუფლების დროს, თეთრფინელებთან ბრძოლაში. ხასანის ტბასთან მომხდარი გმირული ბრძოლები სახელოვან ფურცლად შევიდა წითელი არმიის ისტორიაში. სოციალიზმის ქვეყნის მეომართა ამ მამაცობის, გულადობისა და უშიშრობის მაგალითებზე იზრდება მთელი ჩვენი წითელი არმია, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა.

„წითელი არმიისა და ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა გმირობის, მამაცობის, გამბედაობისა და გულადობის წყაროს წარმოადგენს მათი ერთგულება ჩვენი კომუნისტური პარტიისადმი, მათი უსაზღვრო სიყვარული თავიანთი სამშობლოსადმი, თავიანთი ხალხისა და დიდი სტალინისადმი“ (კ. ვოროშილოვი).

**საბჭოთა კავშირის გმირი —**
**პოლკოვნიკი მ. ბოჩკარიოვი**
**ორდენოსანი მაიორი —**
**გ. ტოლოკოლნიკოვი.**

# გამოხმაურება საზღვარგარეთ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

### გერმანიაში

**ბერლინი,** 4 აგვისტო (საქდესი). ამხ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გაკეთებული მოხსენება კვლავ მოქცეულია გერმანიის მთელი პრესის ყურადღების ცენტრში.

ეხება რა ამხ. მოლოტოვის მოხსენებას, გაზეთი „ბერლინერ ნახტაუსგაბე“ სწერს: „საბჭოთა პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოლოტოვის სიტყვამ მოგვცა ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოსთან საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის ნათელი სურათი. კვლავ მოცემულია იმ ფაქტის დადასტურება (რაც, მართალია, საჭიროა დანარჩენი მსოფლიოსათვის და არა გერმანიისა და რუსეთისათვის), რომ ბერლინსა და მოსკოვს შორის არსებული ურთიერთობა მთლიანად და სავსებით შეეფერება იმ პირობებს, რომლებსაც თავის დროზე დადებული ხელშეკრულებანი შეიცავენ“.

გერმანიის ბევრი გაზეთი დაწვრილებით აშუქებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის მუშაობის მიმდინარეობას და, კერძოდ იმ აღფრთოვანებას, რომლითაც ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობა ამხ. მოლოტოვის მოხსენებას შეხვდა. გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერს“ მოჰყავს დიდი ამონაწერები „პრავდის“ მოწინავედან, რომელიც მიძღვნილია ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებისადმი.

### იტალიაში

**რომი,** 4 აგვისტო (საქდესი). იტალიის მთელი პრესა კვლავ ფართოდ ეხმაურება ამხ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გაკეთებულ მოხსენებას. საკუთარი კომენტარების გარდა, გაზეთებს მოჰყავთ უცხოეთის პრესისა და პოლიტიკური წრეების გამოხმაურებანი.

აღნიშნავს რა, რომ მოლოტოვის მოხსენებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში, გაზეთი „ტრიბუნა“ სწერს, რომ ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან „რუსეთის პოლიტიკა ისეთ ფაქტორს წარმოადგენს, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია საერთო ვითარების შეფასების დროს“.

გაზეთი „გადზეტა დელ პოპოლო“ სწერს: „ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ იტალიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რაც მოლოტოვმა იტალია-რუსეთის ურთიერთობის შესახებ სთქვა და სადაც ხაზგასმით აღნიშნა ამ ურთიერთობის გაუმჯობესება“.

### ჩინეთში

**ჩუნცინი,** 4 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის პრესა ფართოდ აქვეყნებს ამხ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გაკეთებულ მოხსენებას.

მოხსენების კომენტარებში გაზეთი „ჩუნიანჟიბაო“ განსაკუთრებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის უცვლელობას ევროპის ახლანდელ ომში.

გაზეთი „საოტანბაო“ სწერს, რომ „სსრ კავშირი პატიოსნად იცავს მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და ამავე დროს მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს მის საზღვრებზე ყოველგვარ თავდასხმას“.

გაზეთი „იშიბაო“ განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამხ. მოლოტოვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირსა და დიდ ნაციონალურ ჩინეთს შორის მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე.

### საბერძნეთში

**ათენი,** 4 აგვისტო (საქდესი). გაზეთებმა „ელინიკონ მელონმა“, „პროიამ“, „ელეფტერონ ვიმამ“, „ნეა ელასმა“ და სხვებმა დაწვრილებით მოათავსეს ამხ. მოლოტოვის მოხსენების ტექსტი დიდრონი სათაურებით—„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომა“, „მოლოტოვი გამოვიდა მოხსენებით სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“.

### უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 4 აგვისტო (საქდესი). უნგრეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ამხ. მოლოტოვის მოხსენებას.

მოხსენების კომენტარებში გაზეთები „პესტერ ლოიდი“ და „პეშტი ჰირლაპი“ განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკა უცვლელია.

„მოლოტოვის სიტყვებს,—აცხადებს გაზეთი „პეშტი ჰირლაპი“, — ყურს უგდებს მთელი მსოფლიო, მისი მოხსენება წარმოთქმული იყო მთელი მსოფლიოსათვის“.

### ირანში

**თეირანი,** 4 აგვისტო (საქდესი). თეირანის ყველა გაზეთი ბეჭდავს ამხანაგ მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გაკეთებული მოხსენების სრულ ტექსტს.

### ბულგარეთში

**სოფია,** 4 აგვისტო (საქდესი). ბულგარეთის პრესა კვლავ ფართოდ აშუქებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის მუშაობას.

ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატი იანევი გაზეთ „დნესში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სწერს: „1 აგვისტოს საბჭოთა პარლამენტში მოლოტოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას არაჩვეულებრივი ინტერესით მოელოდნენ არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ მსოფლიოში. მოლოტოვის სიტყვა, საერთო აზრით, ამომწურავად ცხადი და კონკრეტული იყო.

### რუმინეთში

**ბუქარესტი,** 4 აგვისტო (საქდესი). რუმინული პრესა კვლავ გაცხოველებით განიხილავს ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე.

ჟურნალისტი ლუგოშიანუ გაზეთ „უნივერსულში“ სწერს: „მოლოტოვის მოხსენება საოცრად ნათელია. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ჩვეული სიზუსტით უწოდებს საგნებს თავიანთ სახელებს ისე, რომ ეს მოხსენება კომენტარებს არ საჭიროებს. მოლოტოვის შენიშვნები საერთაშორისო ამბების განვითარებისა და შემდგომ პერსპექტივების შესახებ არაჩვეულებრივ ინტერესს წარმოადგენს“.

## გამოძახილები ბულგარეთში სსრ კავშირის შემადგენლობაში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის შესვლისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკის შექმნის გამო

**სოფია,** 4 აგვისტო (საქდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები უდიდესი მოწონებით ხვდებიან საბჭოთა კავშირის მეგობრულ ოჯახში ახალი ხალხების შესვლას. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახელზე ბულგარეთში მიღებულია ქალაქ სლივენის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებისაგან დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლება და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხების საკუთარი გადაწყვეტილებით შესვლა დიადი საბჭოთა კავშირის ოჯახში ქალაქ სლივენის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წრეში აღტაცებასა და ენტუზიაზმს იწვევს. ბულგარელი ხალხი მიესალმება ხალხთა თავისუფლებისა და თვითგამორკვევის პრინციპების განხორციელებასა და ისტორიულ უსამართლობათა გამოსწორებას“.

# ინგლის-გერმანიის ომი

## გერმანიის სარდლობის ცნობა

**ბერლინი,** 3 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „წყალქვეშა ნავის მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი კრეჩმერი იუწყება, რომ ერთი ოპერაციის დროს მან ჩასძირა მტრის შვიდი შეიარაღებული სავაჭრო გემი 56.118 ტონა საერთო წყალწყვისა, მათ შორის იყო 3 ტანკერი, რომელიც ბადრაგს მიჰყავდა. სულ კრეჩმერის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის სავაჭრო გემები 117.367 ტონა საერთო წყალწყვისა, აგრეთვე ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „დერინგი“. 2 აგვისტოს მტრის რამდენიმე შეიარაღებულ სავაჭრო გემს ყუმბარა დავუშინეთ გარბიჩის მახლობლად ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, აგრეთვე ტემზის შესართავში და გებრიდის კუნძულების მახლობლად. ამ გემებიდან ჩაძირულია სამი გემი 16.000 ტონა საერთო წყალწყვისა. 3 აგვისტოს, ღამით, რამდენიმე ცალკეული თავდასხმა მოვახდინეთ საწვავი მასალის საწყობებსა და საზენიტო ბატარიებზე ინგლისში. ბომბარდირებამ ძლიერი ხანძარი გამოიწვია ტომას ჰავენის საწვავი მასალის საწყობებში. ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავი დღისით გამოჩნდა ჰოლანდიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთში, რომლებსაც გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ ყველგან ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს. ინგლისის თვითმფრინავებს ყუმბარების გადმოყრა მინდვრებში მოუხდათ. მდინარე აისელის რაიონში და აიმაიდენის სანაპიროსთან გამართული საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია „ბრისტოლ-ბლენჰეიმის“ ტიპის ორი თვითმფრინავი. ამავე ტიპის მეორე თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ჰავრის მიდამოებში. 2 აგვისტოს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავები ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში დაფრინავდნენ და კვლავ ესროლეს ყუმბარები არასამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს. ბომბარდირების შედეგად დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, სამოქალაქო მოსახლეობაში არიან დაჭრილნი და მოკლულნი. გიფჰორნის რაიონის ერთ დაბაში, სადაც სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები არ არის, ყუმბარებმა დაანგრია გლეხის სახლი. მოკლულია ორი ბავშვი, მძიმედ დაიჭრა გლეხის ოჯახის ორი წევრი“.

**ბერლინი,** 4 აგვისტო (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას:

„3 აგვისტოს გერმანიის ავიაციამ საზვერავი ფრენა ჩაატარა დიდ სივრცეზე ლა-მანშსა და გებრიდის კუნძულებს შორის. 4 აგვისტოს, ღამით, ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ნავთჩასასხმელი გემების სადგომ ადგილს სტენლოუში, ლივერპულის მახლობლად. ბომბარდირებამ მრავალ ადგილას ხანძარი გამოიწვია. ამას გარდა, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საზენიტო არტილერიის პოზიციებს სუონსში. 4 აგვისტოს ღამით, ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელმა მფრინავებმა უფრო მეტი ყუმბარა გადმოყარეს, ვიდრე წინანდელი თავდასხმების დროს, მათ ზიანი მიაყენეს მხოლოდდამხოლოდ არასამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს და ეს ზარალი გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ“.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 5 აგვისტო (საქდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობაში აღნიშნულია, რომ 3 აგვისტოს დღისით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა სხიპჰოლის აეროპორტს ამსტერდამში და იხაამსტედის (ჰოლანდია) და აბვილის (საფრანგეთი) აეროდრომებს. დიუნკერკსა და გრაველინს შორის მდებარე რაიონში თავდასხმა მოეწყო მტრის ჯავშნიან მატარებელზე. დიდძალი ყუმბარა დააყარეს იმ კარჰაპებს, რომლებიც იყო არაში გრაველინის ახლოს.

3 აგვისტოს ღამით ყუმბარა დაუშინეს როტერდამის (ჰოლანდია), გელზენკირხენის და მანჰაიმის (გერმანია) ნავთსაცავებს. ინგლისის საბომბარდირო ავიაციის, შენაერთები თავს დაესხნენ ჰოლანდიის, დასავლეთ გერმანიის აეროდრომებს, აგრეთვე ვესტფალიის, რურისა და რაინის პროვინციის სარკინიგზო კომუნიკაციებს. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე გერმანიის ზოგიერთს სინთეზური ნავთის ქარხანას. მანჰაიმის სინთეზური ნავთის ქარხანაზე პირველი თავდასხმის შედეგად ქარხნის ნაწილს ცეცხლი მოედო. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ბოტროპის სინთეზური ნავთის ქარხანას. ინგლისის ავიაციამ, მიუხედავად ცუდი ხილვადობისა, ყუმბარა დაუშინა აგრეთვე კილის სამხედრო-საზღვაო ბაზას. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრების შედეგად კილის დოკებში ხანძარმა იფეთქა. ინგლისის საბომბარდირო ავიაციის ერთერთი შენაერთი წარმატებით დაესხა თავს ჰუზუმის აეროდრომს, კილის დასავლეთით. დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა კელნის ჩრდილოეთი ნაწილის დიდი სატვირთო საწყობების ბომბარდირება. საწყობებს აყრიდენ ძლიერ ფეთქებადსა და ცეცხლგამჩენ ყუმბარებს. ინგლისის ავიაციის ზოგიერთმა შენაერთმა თავდასხმა მოაწყო გერმანიის ჰიდროპლანების ბაზებზე. თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის სამი თვითმფრინავი, რომლებიც ღამის ოპერაციებში მონაწილეობდნენ.

აღნიშნავენ, რომ კონტროპერაციებში ინგლისის ყუმბარმშენთა წინააღმდეგ ამჟამად გერმანიის ავიაგამანადგურებელთა წინანდელზე ნაკლები რიცხვი იღებს მონაწილეობას. მაგრამ გერმანელებმა შექმნეს სამხედრო ობიექტების ძლიერი და ეფექტიანი საჰაერო დაცვა.

## გერმანიაზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შედეგები

**ლონდონი,** 3 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ავიაციამ ომის დაწყებიდან ყუმბარა დაუშინა გერმანიის ასზე მეტ ქალაქს, სადაც სამხედრო ობიექტებია. ინგლისის ავიაცია მოქმედებდა რამდენიმე ას კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე, სადაც, როგორც ცნობილია, გერმანიას ბევრი სამხედრო ქარხანა აქვს. დღისით და ღამით ჩატარებულ იქნა თავდასხმა რურის ოლქში. გამოუსწორებელი ზარალი მიადგა ისეთ პუნქტებს რურის ოლქში, როგორიცაა დუისბურგი, დიუსელდორფი, ჰესენი და ვეზელი. ათასობით ყუმბარა ვესროლეთ გერმანიის ერთერთ მთავარ ნავსადგურ ბრემენს და მის გემთსაშენებს, სანაპიროებს, და ცნობილ საავიაციო ქარხანა „ფოკე-ვულფს“. გერმანიის მეორე ნავსადგურში — ჰამბურგში სერიოზულად დაზიანდა ნავთსაწმენდი ქარხნები, საომარი მასალის ქარხნები და გემთსაშენები, რომლებიც ქალაქის ცენტრში მდებარეობენ. განუწყვეტლივ ვუშენდით ყუმბარას ლაიპციგის დიდ ელექტროსადგურს. ამას გარდა ინგლისის თვითმფრინავები ხშირად დაფრინავდნენ კილის საზღვაო ბაზის თავზე.

## ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

**რომი,** 4 აგვისტო (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ესკადრილიებმა ყუმბარა დაუშინეს ინგლის-ეგვიპტის სუდანში ერკოვიტს, სუმიტისა და ჰაიის აეროდრომებს, სადაც დიდ ანგარს ცეცხლი გაუჩნდა. დაზიანებულია ჰაიის რკინიგზის კვანძი.

დებელთან გამართული ბრძოლის დროს, რის შესახებაც ცნობები გუშინწინ იყო გამოქვეყნებული, მტერმა ჩვენი პოზიციების წინ დასტოვა 64 მოკლული. მათ შორის 3 ოფიცერი.

ბრიტანეთის სომალში ეფექტიურად დავუშინეთ ყუმბარა ზეილის ნავსადგურს. იტალიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მტრის ავიაცია თავს დაესხა დერნის ნავსადგურს ჩრდილო აფრიკაში, რასაც უმნიშვნელო ზარალი მოჰყვა. ჩვენი ერთერთი წყალქვეშა ნავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

**ლონდონი,** 3 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს: „ჩვენი თვითმფრინავების რაზმმა ყუმბარები დაუშინა ანგარსა და აეროდრომს ასმარაში (ერიტრეა). ერთი ანგარი სავსებით დაინგრა, დანარჩენები სერიოზულად დაზიანდა. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა სხვა ნაგებობებსაც. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. ჩვენი ავიაცია თავს დაესხა გურას (აბისინია). დაბალი ღრუბლიანობის მიუხედავად, რაც ბომბარდირებას აძნელებდა, ყუმბარების სროლა მარჯვედ ხდებოდა, რამაც რამდენიმე ადგილას ხანძარი გამოიწვია. შინელეზე ჩვენი ავიაციის ორჯერ თავდასხმის დროს ყუმბარმშენებმა ბრძოლა გაუმართეს მტრის ავიაგამანადგურებლებს. როგორც ფიქრობენ, მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია. ჩვენი ერთი ყუმბარმშენი იძულებული გახდა მტრის ტერიტორიაზე დაშვებულიყო. ინგლისის თვითმფრინავებმა, როდესაც ისინი თავიანთ ბაზებში ბრუნდებოდნენ, ზეილის რაიონში (ბრიტანეთის სომალი) შეამჩნიეს მტრის სამი ყუმბარმშენი. ჩვენმა თვითმფრინავებმა მათ ბრძოლა გაუმართეს. მტრის ერთერთი მანქანა, რომელსაც მექანიზმი დაუზიანდა მიწაზე დაეცა. შემჩნეულ იქნა აგრეთვე, თუ როგორ გაუჩნდა ცეცხლი მეორე მანქანასაც. სამხრეთ-აფრიკის საჰაერო ძალებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები მოიალეს სამხრეთით თავმოყრილ ჯარს“.

ნაირობიდან მიღებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 2 აგვისტოს ყველა ფრონტზე სრული სიწყნარე იყო.

## ინგლისის ფლოტი სინგაპურიდან ხმელთაშუა ზღვაში მიდის

**კოპენჰაგენი,** 3 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „პოლიტიკენი“ რომიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, რომ მასაუადან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის ფლოტი, რომელიც სინგაპურში იმყოფებოდა, ახლა ხმელთაშუა ზღვაში მიიმართება. ფლოტი უკვე ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში იმყოფება და წითელი ზღვისაკენ მიდის. ესკადრას თან ახლავს სავაჭრო გემების დიდი ფლოტილია, რომლებსაც, როგორც სჩანს, მომარაგების საგნები მიაქვთ, და ავიამზიდთა ფლოტილია.

## კომუნისტური პარტიის დევნა შვეციაში

**სტოკჰოლმი,** 3 აგვისტო (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყო ახალი რიკსდაგის არჩევნებისათვის მზადება, ხელისუფლებამ კვლავ გააძლიერა რეპრესიები შვეციის კომუნისტური პარტიისა და მისი პრესის წინააღმდეგ.

ამ დღეებში გაზეთმა „დაგენს ნიუჰეტერმა“ მოათავსა ცილისმწამებლური წერილი, რომელიც კომუნისტური პარტიისა და მისი პრესის წინააღმდეგ არის მიმართული.

როგორც ცნობილია, შვეციაში ეს პირველი ნაბიჯი როდია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამა წლის მარტში არსებითად აკრძალული იყო იმ გაზეთების გავრცელება, რომლებსაც კომუნისტური პარტია სცემს. შვეციის რეაქციონერებმა დასწვეს კომუნისტური გაზეთის „ნორშესსფლამანის“ რედაქციისა და სტამბის შენობა, მხეცურად მოჰკლეს კომპარტიის მთელი რიგი მოღვაწეები და მათ შორის შვეციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დაგბერგი.

შვეციის მთავრობამ ჯერ კიდევ ხუთი თვის წინათ აკრძალა კომუნისტური გაზეთების, მატარებლების, გემების, ავტომობილების, ავტობუსების და სხვა სახის ტრანსპორტის საშუალებით გადატანა, კომუნისტურ გამოცემათა გზავნა ფოსტით.

ამ დღეებში შვეციის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მთავრობას მოთხოვნით გააუქმოს გაზეთების გადატანის აკრძალვა, რადგანაც კომუნისტური პარტია ლეგალურად მონაწილეობს რიკსდაგის მომავალ არჩევნებში.

შვეციის მთავრობამ უარჰყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა და ძალაში დასტოვა აკრძალვა კომუნისტური პრესის გადატანისა.

# გი დე მოპასანი

### 90 წელი დაბადებიდან

რეალისტური ნოველის შესანიშნავი ოსტატი, გამოჩენილი ფრანგი მწერალი გი დე მოპასანი დაიბადა 1850 წლის 5 აგვისტოს. ერთხანს იგი მსახურებდა სახელმწიფო დაწესებულებებში. იმავე დროს ბევრს სწერდა, მაგრამ თითქმის არ იბეჭდებოდა. ცნობილი ფრანგი მწერლის ფლობერის დახმარებით მოპასანი დაუახლოვდა ლიტერატურულ წრეებს და 1880 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა „ფუნთუშა“. ამ მოთხრობამ უმალვე მოუპოვა სახელი მწერალს. ოთხმოციანი წლების დასასრულს მოპასანს აღმოაჩნდა ნერვების აშლილობა. 1893 წელს იგი გარდაიცვალა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

მოპასანის ლიტერატურული მოღვაწეობა არც ისე ხანგრძლივი იყო. მიუხედავად ამისა, მან დასტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა: 6 რომანი, 260 ნოველა, 3 წიგნი მოგზაურობათა შესახებ, დრამატიული ნაწარმოებები და წერილები. მოპასანმა ლიტერატურული სკოლა გაიარა სიტყვის ისეთ დიდ ოსტატთან, როგორიც იყო ფლობერი. მისგან ისწავლა შემოქმედებითი კეთილსინდისიერება, რაც ახასიათებდა მოპასანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მოპასანის მეორე მასწავლებელი იყო დიდი რუსი მწერალი ი. ტურგენევი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა პარიზში და დაახლოებული იყო ფრანგ მწერლებთან. ი. ტურგენევი დიდად აფასებდა მოპასანის შემოქმედებას. მოპასანის რომანის „ცხოვრების“ შესახებ იგი სწერდა „ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორს სტასიულევიჩს: „ჟ-ნ სანდის „კონსუელოს“ შემდეგ არაფერი ამის მსგავსი არ გამოჩენილა... ან მე არაფერი მესმის, ანდა მოპასანის რომანი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, კაპიტალური ნაწარმოებია“. ტურგენევმა გააცნო ლ. ტოლსტოის მოპასანის „ტელიეს სახლი“. თუ ერთის მხრით ტურგენევი ცდილობდა გაეცნო რუსეთის საზოგადოებრიობისათვის მოპასანი, მეორე მხრით მოპასანი მისი დახმარებით გაეცნო რუსულ ლიტერატურას (პუშკინს, გოგოლს, ლ. ტოლსტოის, გარშინს, პისემსკის). გარშინის „ოთხ მოთხრობას“, რომელიც იმ ხანებში გამოვიდა ფრანგულ ენაზე, მოპასანის წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული.

მოპასანის შემოქმედებაზე ბევრს არა სწორი წარმოდგენა აქვს. ზოგიერთი მას „პიკანტურ“ მწერალს უწოდებს, პორნოგრაფიულობასაც კი სწამებს. ეს ბრალდება უმართებულოა. მოპასანი კრიტიკული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ დროს, როცა საფრანგეთში კაპიტალიზმი განვითარების უმაღლეს წერტილზე ადიოდა. მოპასანი იშვიათი სისწორით ასახავდა რომანებში და შესანიშნავ ნოველებში ბურჟუაზიული წყობილების სიდამპლეს. მწერალი სილამაზეს, ფაქიზ, წმინდა სიყვარულს, ადამიანის გაშლილ ბუნებას, კეთილშობილებას შესტრფოდა და ხედავდა, რომ კაპიტალისტურ წყობილების პირობებში ყველაფერი ეს ტალახში ეჯიჯგნება, სიყვარული და სილამაზე ვაჭრობის საგნად იქცევა. სად არის გამოსავალი იმ ჯოჯოხეთიდან, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება ეწოდება? ეს მოპასანმა არ იცოდა. ამიტომ მის ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ დიდი ოსტატობით დახატულ სინამდვილეს, საზარელ ადამიანთ პირუტყვობას, მაგრამ ვერ ვხედავთ გზას უკეთესი მომავლისაკენ. ეს არ ამცირებს მოპასანის დიდ მნიშვნელობას. ჩვენ მას ვაფასებთ, როგორც მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს, შესანიშნავ ნოველისტს, თანამედროვეობის უძლიერეს რეალისტ ამსახველს.

**გრ. ნუცუბიძე.**

## ორთქლმავლების შეკეთება სწრაფი მეთოდით

### 10 საათი 96 საათის ნაცვლად

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ამწევთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ოსტატი ამხ. წიკლაური და ბრიგადირი ამხ. სინჯიკაშვილი, რკინიგზელის სტალინურ დღეს ახალი საწარმოო გამარჯვებით შეეგება. ბრიგადამ გამოიყენა შეკეთების სწრაფი მეთოდი და საშუალო რემონტიდან 96 საათის ნაცვლად 10 საათში გამოუშვა „ე“ სერიის მძლავრი ორთქლმავალი. ეს წარმატება მოპოებულია შრომის გონივრული ორგანიზაციით, მუშა-ხელის სწორად განაწილებით და ტექნოლოგიურ პროცესებში მთელ რიგ გაუმჯობესებათა შეტანით. რემონტს წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად ბრიგადამ ივლისში გეგმის გადამეტებით 3 ორთქლმავალი შეაკეთა.

(საქდესი).

## ნორჩ რკინიგზელებთან

4 აგვისტოს ზეიმი ჰქონდათ თბილისის ნორჩ რკინიგზელებს. ამ დღეს მათ აღნიშნეს საბავშვო რკინიგზის ხუთი წლისთავი.

თბილისის საბავშვო რკინიგზა პირველია საბჭოთა კავშირში. იგი აგებულია **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით და **ლ. მ. კაგანოვიჩის** დახმარებით. გზა აგებულია უმთავრესად ნორჩი ხელებით პიონერ-რკინიგზელების მიერ. მათ მაგალითს ახლა ბევრი მიმბაძველი და მიმდევარი ჰყავს ჩვენს დიად სამშობლოში.

თბილისის ნორჩმა რკინიგზელებმა დიდი ზეიმით გადაიხადეს თავისი გზის არსებობის 5 წელი. მოიწვიეს სტუმრები — თბილისის სკოლების მოსწავლე-პიონერები, რომელთაც უფასოდ ასეირნებდნენ და ტკბილეულობით უმასპინძლდებოდნენ. ათას ხუთასზე მეტ ასეთ სტუმარს მოემსახურნენ თავის საიუბილეო დღეს ნორჩი რკინიგზელები.

დილის 9 საათზე ნორჩ რკინიგზელებს საზეიმო კრება ჰქონდათ. მოისმინეს გზის უფროსის ამხ. სოსო გოჩიტაშვილის საანგარიშო მოხსენება. ამ კრებაზე გამოაცხადეს 70 მოწინავე ნორჩი რკინიგზელის დაჯილდოების შესახებ.

მთელ პარკში ტრანსლირებული იყო საბავშვო მხატვრული თვითმოქმედება, რომელიც კრებას მოჰყვა.

საღამოს 10 საათზე, როდესაც საბავშვო რკინიგზა მუშაობას ამთავრებს, ნორჩი რკინიგზელები სტუმრებთან ერთად გარს შემოუსხდნენ დიდ სუფრას, მდიდარს სხვადასხვა ტკბილეულობითა და ხილით. აქ დაჯილდოებულ 70 მოწინავე ნორჩ რკინიგზელს საჩუქრები დაურიგეს.

დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ბავშვები. ისინი სიხარულს გამოსთქვამდნენ თავისი ბედნიერი ბავშვობისათვის და ბავშვური გულწრფელობით გულითად მადლობას მიუძღვნიდნენ ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების შემომქმედს დიდ **სტალინს,** ბავშვთა დიდ მეგობრებს ძია **ლ. მ. კაგანოვიჩს** და **ლ. პ. ბერიას.**

## ძველი ფულის აღმოჩენა

სოფ. ნორიოს მცხოვრებმა (თბილისის რაიონი) ლუკა ნიკოლაიშვილმა ბაღის დამუშავებისას აღმოაჩინა თიხის ქოთანი, რომელშიაც 495 ცალი ძველი ფული იყო.

ნაპოვნი განძი ამხ. ლ. ნიკოლაიშვილმა გადასცა მუზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებას.

ფულის განძის წინასწარი დამუშავებისას გამოირკვა, რომ ეს ფული მოჭრილია მეჩვიდმეტე საუკუნეში თბილისის ზარაფხანაში. მცირე ნაწილი მოჭრილია განჯის, ერევნის და თებრიზის ზარაფხანებში.

## ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს კადრების განყოფილება აწარმოებს საშემოდგომო შეკრებას ქვემო ჩამოთვლილ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში

### 1. საქ. ალკკ სახ. თბილისის რკინიგზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

(ქ. თბილისი საბჭოს ქ. № 204)
სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე.

### სპეციალობანი:

1. ორთქლმავალ-მემანქანეთა თანაშემწეები;
2 ორთქლმავალთა შემკეთებელი ზეინკლები;
3. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები;
4. ავტომუხრუჭების შემკეთებელი ზეინკლები;
5, ელმავალთა შემკეთებელი ზეინკლები;
6 ხარატები;
7. ვაგონის შემკეთებელი დურგლები;

### 2. სამტრედიის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

(ქ. სამტრედია რკინიგზის საფ. საქ. სკოლა)
სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე.

### სპეციალობანი.

1. ორთქლმავალ-შემკეთებელი ზეინკლები;
2. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები;

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი 15-დან 18 წლამდე (ორთქლმავალ მემანქანეთა სპეციალობაზე 17-დან 20 წლამდე) არასრული საშუალო სკოლის 5-7 კლასდამთავრებულნი.

**მისაღები გამოცდები იწარმოებს** 26-დან 28 სექტემბრამდე 1. მათემატიკაში. 2. რუსულ ენაში, 3 ფიზიკაში, 4. ქართულ ენაში (ქართულ ჯგუფში მისაღებ პირთათვის), 5. სსრკ-ის კონსტიტუციაში.

ფრიადზე 7 კლასდამთავრებულები მიიღებიან უგამოცდოდ.
განცხადებების მიღება იწარმოებს ა წ. 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე.
განცხადებასთან ერთად უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა,
2. მეტრიკული ამონაწერი,
3. ცნობა ყვავილის აცრის შესახებ,
4. სამი შემოწმებული ფოტო-სურათი,
5. პასპორტი (პირადად).

განცხადებაში უნდა იქნას ნაჩვენები სპეციალობა, სექტორი, რომელზედაც სურს შემოვიდეს განმცხადებელი.

ყველა მიღებული უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით და სოფლიდან ჩამოსულები საერთო საცხოვრებლითაც.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ რკინიგზელთა ყველა უფლებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

**ლ. პ. ბერიას სახელობის ა/კ. რკ. გზ. კადრების მომზადების განყოფილება.**

100

ა. წ. 12/VII გამოვიდა სახლიდან (გორის ქ. № 24) **მერი ძიძიგური 12 წლის** და აღარ დაბრუნებულა. ნიშნები: მოკლე თმა, ჭრელი თვალები, აცვია ორი კაბა წითელი და ლურჯი ფერის, ფეხზე აცვია დახეული რეზინის ჩუსტები. მნახველს ვთხოვ მაცნობოს, გორის ქ. 24 ოლია ძიძიგურს. 7360

საქ. სსრ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს შალვა რევაზიშვილს მისი დედის

**ნინო გიორგის-ასულ რევაზიშვილის**

გარდაცვალების გამო. 7365

## კულტაშქრობა ხევსურეთში

### ბარისახო

ბუნებას თითქოს განგებ შეუქმნია ყველა პირობა [illegible], რომ [illegible] მთელი ქვეყნიერებისათვის მოეწყვიტა. სუსხიანი და მკაცრი ბუნება ზაფხულშიც კი ძნელად მისავალს ხდის ხევსურეთის სოფლებს. ამან გამოიმუშავა ის კარჩაკეტილობა, რომელმაც რამდენიმე საუკუნით დააშორა ხევსურნი კულტურას. მთაში გახიზნულ ხალხს, მათს ჩამორჩენილ ადათ-წესებს ყურადღებას არავინ აქცევდა, არავინ კითხულობდა მის გასაჭირს, არავინ ფიქრობდა მის კულტურულ აღორძინებაზე.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გასტანდა ხევსურთა კარჩაკეტილობა, რომ საქართველოში ხალხთა ბედნიერების კაშკაშა მზე არ ამობრწყინებულიყო, რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარებულიყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ხევსურმა ხალხმა იგრძნო ბოლშევიკური აგიტაციის ძალა. ბოლშევიკებმა ხევსურეთში ფართოდ გაშალეს კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა.

ხევსურეთის პირველ დიდ სოფლამდე—ბარისახომდე გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა, რომელმაც ხევსურეთი რესპუბლიკას დაუკავშირა. გზის მშენებლობის დამთავრებისთანავე 1934 წელს ხევსურთა პირველი საპატიო სტუმარი ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია** იყო. მაშინ ხევსურებმა ბარისახოში პირველად დაინახეს ავტომანქანა.

ამხანაგი **ლ. ბერია** ბარისახოში დიდხანს ესაუბრა ხევსურთ. მოუსმინა მათ. საუბრის შედეგად ბარისახოში დიდი მუშაობა გაჩაღდა. აშენდა სკოლა-ინტერნატი, საავადმყოფო, დასასვენებელი სახლი, ფოსტისა და სასოფლო საბჭოს შენობა, მაღაზია, მოეწყო რადიო-კვანძი, ხევსურეთის გულში აგუგუნდა ელექტროსადგური. ბარისახოში და მის ახლო მდებარე სოფლებში გაანათა ილიჩის ნათურამ. ბარისახო ხევსურებისათვის კულტურას ცენტრად გადაიქცა.

ბარისახოს სკოლაში ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოყვანილი 150-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. საზაფხულო არდადეგებზე მოსწავლეები უბრუნდებიან სოფლებს და მშობლებში, ნათესავებსა და მახლობლებში ეწევიან აგიტაციას ძველ მავნე ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ, ცხოვრების ახლებურად გარდაქმნისათვის.

ხევსური ახალგაზრდობის მიერ გაჩაღებულ აგიტაციას დიდი ნაყოფი მოაქვს.

ახლა ხევსურნი ეწაფებიან ახალ ცხოვრებას, ახალ კულტურას. ხევსურთა უმრავლესობას ქალაქში შეკერილი ფეხსაცმელი აცვია. მიუვალ სოფლებში მცხოვრები ხევსურნიც კი ცდილობენ თავი დააღწიონ მიწურებს და აიშენონ კარგად მოწყობილი სახლები. დიდი გარდატეხაა ხევსურთა ყოფაცხოვრებაში.

სოფ. ქობულოში მცხოვრებმა ქვრივმა მზექალა ლიქოკელმა, რომლის ბავშვები ბარისახოში სწავლობენ, აიშენა ოთხი ოთახისაგან შემდგარი შესანიშნავი ორსართულიანი სახლი.

იცვლება ძველი ხევსურეთი. მის მაგიერ შენდება ახალი ქვეყანა, ახალი ხევსურეთი.

ბარისახო ახალი ხევსურეთის პირველი სოფელია.

**თ. ფურცელაძე.**

## ფეხბურთი

### ქუთაისი — „დინამო“ — თბილისი — სახელმწიფო უნივერსიტეტი

4 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ქუთაისის „დინამოს“ და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:4.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის** — „ჩემი სიყვარული“; **ოქტომბერი** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „ჩემი სიყვარული“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დედაკაცნი“; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მთის მარში“; **სპარტაკი** — „თავადის ასული მერი“; **ლუქსემბურგის სახელობის** — „დიდი ვალსი“; **26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის) — „ქალიშვილი ჩქარობს პაემანზე“; **26 კომისრის სახელობის** (ზამთრის) — „ქალიშვილი ჩქარობს პაემანზე“; **კომინტერნი** — „დიდი ვალსი“; **ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — „11 ივლისი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

ანიჩკა და ნესტორ ქიქოძეები, მანია, დუდუ ძნელაძეები, და გრიშა დევდარიანი იუწყებიან

**მათო შიოს-ასულ სეფერთელაძის**

გარდაცვალებას.

მცხოვრებნი პლეხანოვის პრ. სახლში № 185: თევზაძე, ებრალიძე, სეხნიაშვილი, ასათიანი, დოლიძე, ვ. მუკერია, ვართანოვი, ზაალიშვილი, ჩერპილაშვილი, რევაზიშვილი, დვალი, ნიკოლაიშვილი იუწყებიან

**მათიკო აზაიძე-სეფერთელაძის**

გარდაცვალებას. 7355

მეუღლე თამარ, შვილები ოთარ, ტარიელ იუწყებიან

**საშა დიანოსის-ძე კახაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/VIII 8 ს. გამოსვენება 7/VIII 6 ს. ვახუშტის. 47. 7355

დედა მარო, მამა იოსებ, და ლიანა, ძმები ზურა, რეზო, საული იუწყებიან

**იურა კახიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/VIII (სამტრედიის რაიონი) ეწრის ღელეში. 7354

გრიშა, რაისა და ალეკო სეფერთელაძეები, ოლია კალანდაძე იუწყებიან რძლის

**მათიკო შიოს-ასულ სეფერთელაძის**

გარდაცვალებას. 7363

ვ. დევაძე. ალ. უგრეხელიძე, ი. ძებისაშვილი, ვ. კაჭკაჭიშვილი და გრ. ზაქარაია თანაგრძნობას უცხადებენ სანდრო სეფერთელაძეს მისი მეუღლის

**მათო შიოს-ასულ აზარაძე-სეფერთელაძის**

გარდაცვალების გამო. 7362

ნ. კეცხოველი, ტ. კვარაცხელია, ხ. შალამბერიძე, ნ. ლაჰყეპიანი, გ. ცქიტიშვილი, ე. თოფურიძე, ლ. ლიაძე, ე. ჯიქია, დ. ბოლქვაძე, ა. გოგნიაშვილი, ვ. სარიშვილი, ფ. ქეშელავა, ა. ჯალაღანია, კ. კიზირია, ი. ქურდოვანიძე იუწყებიან მ. ტაბლიაშვილის მამის

**ვლადიმერის**

გარდაცვალებას. 7356

ცოლი ელპიტე, შვილები ვანო, სიმონ, რძლები ვალენტი, ანია და შვილიშვილები იუწყებიან

**დავით სახვაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/VIII ს. უბისაში. 7364

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1485